

# ლიტერატურული გაზეთი

## დღე პირველი

1

გემი ნავსადგურში შევიდა. ვენეციელი ვაჭარი უკვე გემბანზე იდგა და მზად იყო გემის დასატოვებლად.

გემბანზე იდგნენ სხვა მგზავრებიც.

ვენეციელი ვაჭარი გემის არცერთ მგზავრს არ იცნობდა. რა თქმა უნდა, ერთკვირიანი, მონოტონური მგზავრობის განმავლობაში მას შეეძლო გამოლაპარაკებოდა რომელიმე უწყინარი ქცევისა და მშვიდი გამომეტყველების მქონე მგზავრს, მაგრამ არც საკუთარი თავი შეინუხა და არც სხვა შეანუხა.

ცხელოდა.

ხმელეთზე გადასულ ვენეციელ ვაჭარს ადგილობრივი საიდუმლო ორგანიზაციის წარმომადგენელი დახვდა, რომელმაც სასტუმრომდე მიაცილა.

გზა უსიტყვოდ განვლეს.

სასტუმროს ოთახში შესულმა პირველი რაც შენიშნა, კედელთან ბეჯითად დაწყობილი საკუთარი ბარგი იყო.

ბარგისთვის ხელი არ უხლია, უბრალოდ დახედა და ჩაუარა.

დალღილი იყო.

სანოლთან მივიდა და პირდაპირ ისე, რომ არათუ ტანსაცმელი, არამედ ფეხსაცმელებიც არ გაუხვდია, განვა. თვალები დახუჭა და ერთხანს თითქოს საერთოდ არც არსებობდა, არც ცხადს ეკუთვნოდა და არც სიზმარეთს. მერე სიზმარეთში გადაინაცვლა.

სიზმარში ციოდა და თოვდა. ის წელზევით შიშველი უზარმაზარი ხის ქვეშ იდგა და გამეტებით ურტყამდა ხეს ნაჯახს, თან ფიქრობდა: საიდან გაჩნდა აქ ეს ხე, ან — მე?

მალევე გაელვოდა.

ნამოდგა და ჯერ კიდევ გაბრუებული ფანჯარასთან მივიდა.

დაამთქნარა.

ვენეციელი ვაჭარი ამ მრავალმხრივ განთქმულ ქალაქში წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოდიოდა სხვადასხვა მიზეზის გამო.

ამჯერად ის ქალაქს ხანმოკლედ, მხოლოდ ორი დღით ესტუმრა, ხოლო გადასაადგილებლად არა სატვირთო, არამედ ჩვეულებრივი სამგზავრო გემი შეარჩია, რადგან საქმე ამჯერად არ ეხებოდა ტვირთბრუნვას.

## დავით ქართველიშვილი

### ვენეციელი ვაჭარი

ბიოგრაფიის მონაკვეთი ფრაგმენტი მომავალი ნიგნიდან

სტუმრობის მიზეზი ორი ჰქონდა: ადგილობრივი საიდუმლო ორგანიზაციის უფროსს უნდა შეხვედროდა და ემსჯელათ მომავალზე და ასევე ადგილობრივ მონათბაზარზე ტაძრის წინამძღოლისთვის საჩუქარი უნდა შეეძინა, რადგან ვენეციელი ვაჭარი პიროვნულად დავალებული იყო მასთან.

მონათბაზარზე შევლა ვენეციელი ვაჭარს იმ დღესვე ჰქონდა დაგეგმილი, რაც შეეხება ადგილობრივი საიდუმლო ორგანიზაციის უფროსთან მნიშვნელოვან შეხვედრას, ხვალისთვის იყო გადაწყვეტილი, კერძოდ — შუადღეს, ხოლო ქალაქის დატოვება და უკან, ვენეციაში გაბრუნება იმავე ღამეს იყო ჩანიშნული.

ღმერთო ჩემო, დამღლევი ორკვირიანი, წინ და უკან მგზავრობა ორად-ორი დღის გამო — გაიფიქრა დროის არაპროპორციული შეფარდებით დამნუხრებულმა ვენეციელმა ვაჭარმა და ფანჯარას მოშორდა.

სანოლთან გაჩერდა. არა, კიდევ ერთხელ დანოლისა და დაძინების დრო აღარ ჰქონდა.

ვენეციელმა ვაჭარმა მორიგი დამთქნარების შემდეგ ფეხსაცმელები გაიძრო, მერე — ტანსაცმელიც.

2

სასტუმრო შემალღებულ ადგილზე იყო გაშენებული.

სასტუმროდან გამოსული ვენეციელი ვაჭარი დაღმართს დაუყვა და ნაცნობი სასადილოსკენ დაიძრა.

დაღმართი რომ ჩაათავა, ფართო, ადამიანებით სავსე ქუჩაზე აღმოჩნდა. ვენეციელი ვაჭარი კარგად იცნობდა ქალაქის ამ ნაწილს და ამიტომ თავდაჯერებული მიაბიჯებდა ქუჩაში.

სასადილო მონათბაზრის შორიანხლოს მდებარეობდა.

ვენეციელი ვაჭარი კარგად იცნობდა სასადილოს მფლობელსაც, სასადილოს მფლობე-

ლი ყოფილი მეზღვაური იყო და ვენეციაც ბევრჯერ მოენახულებინა.

ვენეციელმა ვაჭარმა ის შემთხვევით, ქალაქში მორიგი ჩამოსვლისას გაიცნო და მას შემდეგ ყოველთვის მის სასადილოში იკლავდა ერთდროულად შიმშილსა და საკუთარ ენაზე საუბრის სურვილს.

სასადილოს მფლობელი მშვენივრად ლაპარაკობდა ვენეციელი ვაჭრის მშობლიურ ენაზე. ვენეციელმა ვაჭარმა ფართო, ხალხმრავალი ქუჩიდან გადაუხვია და ვინრო ქუჩაზე გავიდა.

ვენეციელ ვაჭარს ძლიერ და უშუალო სიამოვნებას ანიჭებდა ფეხით სიარული — განსაკუთრებით, თუ გარემო ნაცნობი იყო...

სასადილოსთან მისული წამით შეჩერდა, მიმოიხედა, მერე სასადილოში შევიდა.

ბოლო ხანებში ვენეციელი ვაჭარი ეჭვობდა, რომ მას შინ თუ გარეთ საიდუმლო პოლიცია უთვალთვალებდა, საკუთარი ეჭვის დამამტკიცებელი არცერთი სამხილი არ მოეპოვებოდა, მაგრამ ეჭვი ამის გამო საერთოდ არ უნელდებოდა, პირიქით — უფრო და უფრო ეჭვიანობდა.


სასადილო პატარა იყო. სულ ხუთი მაგიდა იდგა. ხუთიდან ერთი მუდმივად სასადილოს მფლობელს ჰქონდა დაკავებული. სამზარეულო სასადილოს უკანა ეზოში იყო მოწყობილი. ვენეციელმა ვაჭარმა ეს ამბავი სასადილოს მფლობელისგან იცოდა. სამზარეულოს სასადილოს მფლობელის ცოლი და უმცროსი ქალიშვილი განაგებდნენ. ვენეციელმა ვაჭარმა ეს ამბავიც მხოლოდ გადმოცემით იცოდა, რადგან ადგილობრივი ადათი ქალს უცნობ, გარეშე მამაკაცს პირისპირ შეხვედრას და საუბარს უკრძალავდა.

დახლიდარი სასადილოს მფლობელის ვაჟი-შვილი იყო. მალალი, ჯანმავარი ახალგაზრდა, რომელიც ვენეციელ ვაჭარს პირადად იცნობდა.

პირველმა სწორედ მან შენიშნა სასადილოში შესული ვენეციელი ვაჭარი. თავაზიანად მიესალმა და კუთხეში, მეხუთე მაგიდასთან მჯდომი მამისკენ გაიხედა.

ვენეციელმა ვაჭარმა იმავე მიმართულებით მიმართა მზერა...

II-III









შინ  
ლალუაშვილი



იღუმალი ვარიაციები

როლი

როდესაც თეატრში პირველად წავალ, დავაკვირდები, როგორ თამაშობს მთავარი როლის შემსრულებელი, რას მომატყუებს დამაჯერებლად, როგორ გააკეთებს იმას, რაც უკვე ჩემს წარმოდგენაში არსებობს, მე კი მაინც გამიკვირდება მისი გადანწყვეტილება. იქიდან გამოსული გადავიქცევი ერთჯერად მსახიობად და ცხოვრებას ისე განვაგრძობ, რომ წასასვლელი აღარსად მქონდეს, მხოლოდ მათ შევეკედლები, ვინც ზრდასრულობაში გავიცანი, ვისაც არ უნახავს ჩემი გარდატეხები, ვინც უკვე ისეთი შემეყვარა, როგორც ახლა ვარ, მორცხვი და მომნიჭებული. როდესაც თეატრში პირველად წავალ, დავაკვირდები, როგორ აგრძელებენ მსახიობები სპექტაკლის მერე ცხოვრებას, რამდენ პრობლემას მოიკიდებენ კვლავ ზურგზე, როგორ დაუბრუნდებიან შვილებს დედაბა და მამებად, როგორ გამიშვდებიან სრულად შეყვარებულების წინაშე და როგორ შეისხამენ ხორცს მეორე დილით.

დამოკიდებულება

ახლა ჩაგესმის ქალაქის ძახილი, რომელიც მიგიძღვება სიცხიან გზებზე და გითავისუფლებს დროს და ოცნებებს. ახლა ჩაგესმის მინისქვეშა წყლების ჩხრიალი და მათი ტემპი იპყრობს შენს ვადაგასულ სურვილებს, რომლებიც ვერასდროს დაამთხვავებ დროსა და სივრცეს. ჩაგესმის ბავშვების ხმაური, რომლებმაც გაკაფეს ოცნებები და მარხილებით სავალი გზები ფეხშიშველებმა გაკვალეს, ისინი არიან შენი იდეალები, ისინი, თავიანთი ერთგულებით და მკაცრი სახეებით.

ჩვეულებრივი ადამიანები

ისინი მუდმივად მოძრაობენ, გადადიან მინისზედა ტრანსპორტიდან მინისქვეშაში, ერთი ქალაქიდან მეორეში, იცვლიან სეზონებს და ადამიანებს. მათი სიჩუმე ყვავილებზე თოვლის მიყრას ჰგავს. ფიქრობენ ჩვეულებრივი ადამიანები, რომ ღამით საფრთხე უფრო მეტია, ვიდრე დღისით, რომ ქოლგის გაშლა წვიმიან ამინდში საუკეთესო გამოსავალია და მაღალ სართულზე ლიფტით ასვლა — მახვილი გონება.

ესმით ჩვეულებრივ ადამიანებს, რომ ხელი ხელს ბანს და ბევრი თხრა კატის გამოთხრაა, ისიც ესმით, რომ სიმარტოვე ორნაირია და ორივე საზარელი. ამბობენ ჩვეულებრივი ადამიანები, რომ სიყვარული ურთიერთგაგებაა და რიგში დგომა სამოქალაქო თვითშეგნება. სჯერათ ჩვეულებრივ ადამიანებს, რომ შეუძლიათ, წავიდნენ და სიცარიელე არ დატოვონ, მათ სჯერათ უმტკივნეულო სიკვდილის.

\*\*\*

მე ველოდები, როდის მორჩები სამუშაო დღეს, რომ ერთად დავსხდეთ ავტობუსის ბოლო რიგში და ვნახოთ, როგორ გადაილაღნენ ადამიანები, განსხვავება ისაა, რომ ჩვენ ერთმანეთი გვყავს, ავტობუსში კი მარტოსულები არიან. მათ იციან, როდის არ დაკარგონ მოგონებები და რამდენი შანსი უსახსოვრონ ურთიერთობას, ქვეყანას, შვილებს, ღმერთს ანდაც მშობლებს. ერთ-ერთი მათგანი იტყვის, რომ ნაყოფიერი იყო ის დღე, რომელმაც გამოფიტა და გადაავინყა ცუდი სიზმრები, ისინი ამით საზრდოობენ, გადაღლილობას აფარებენ თავს და არ იციან, რომ არსებობს ადგილი მათთვის, არ იციან, რომ ერთ დღეს მიიღებენ იმას, რასაც იმსახურებენ. გასაკვირია, რომ სიკვდილი იმათაც აკითხავთ, ვისზეც ამას ვერ წარმოვიდგენთ, სიყვარულისგან განსხვავებით.

მარტივი აღიარება

შენ დაითვალე ჩემი ნაბიჯები, როცა მივდივარ მცხუნვარე დილას ზღვის ნაპირზე და ორ ნაწილად გაჭრილ სამყაროს თვალს ვუსწორებ, თითქოს ბინდიდან გამოვერკვიე და სიზმრები ისევ გავნირე. მარტობაზე უფრო მეტად ითვალე დილა, სადაც მზეები ოთახებში გივარდებიან და მოსაცვლელი კბილებით მოტანილ ტკივილს მღვრიე გუდაში თავს უკრავენ... საფირონები. საფირონებიც ღამებთან იყოფენ დროებს, აღიარებენ სიმარტივეს, ფერხულში შებმას, მათთვის ერთია სიცხით დაღლა ან თუნდაც თოვდეს, ერთია მათთვის დაბადება, სუნთქვა და სევდა.

დაბრუნება

ვინ დამალულა გამჭვირვალე ფარდების მიღმა ან ვის უცდია დანაშაულის გადაბრალება მასზე, ვინც ღამით ეზიდებოდა მთვარის ჩემოდნებს და დატბორილი ქუჩებისთვის იხდიდა სამოსს, ის ჩაისახა პირველად ფიქრში და მისი ფიქრიც გამთენიის თოვლმა დაფარა, ხოლო დღეები გულგამოცლილი ფრინველებია, რომელთა ფრენამ ამოწურა თავისი თავი. მე ჩაძირული ლექსებიდან ამოვიზარდე და გამოსავლის ძიებაში ლაბირინთს ვხედავ, რომლის კედლები მყარი, მაგრამ გამჭვირვალეა.



სალომე  
გოგოლაძე

ლექსის დღის დარიბაბა

ისხედით მშვიდად, დედას ახლა ჯერ არ სცალია, აჰა, შენ ტკბილი ორცხობილა, შენ — ობლის კვერი, ნათითურებით ავსებულა ჩემი ნალია: თოვლით, წვიმებით, თოჯინებით და მერცხლის ფრთებით, გოშებივით ნუ დამყვებით, ა-მო-მა-სუნ-თქეთ! სარკე, ქალაღი, დაორთქილი ფანჯრის მინაც კი... ყველგან თქვენა ხართ, გაგონილა ?! მგონია, სულს ვლევ, ცუდი ბავშვით ამოსვრილხართ წვიმის სილაში. სად წაგიყვანოთ?... დათხუპნული ურჩი თითებით, ვერ მოგამორეთ მელნის კვალი, მაყვლის ნაკანრი, ხვალ ნუშის კაბებს შეგიკერავთ, ყველას გპირდებით, აღარ დაგამწყვდევთ, საყვარლებო, ამ ბნელ საკანში. გარეთ ქარია, აფრიალებს თოვზე პერანგებს, დილის რიჟრაჟზე მოგიწველით რძისფერ ალიონს, დღეს არ მცალია, ეს ულექსო დილა შემარგეთ, მე ახლა წავალ, გთხოვთ, ოთახი აღარ არიოთ, დედა მოგიკვდეთ, ნუ იტირებთ, ცოტა მაცადეთ, მე ერთი ვარ და თქვენ რამდენი, ველარ გერევით, საღამოს ზღაპარს მოგიყვებით თოვლის პაპაზე, სათამაშობს რომ არიგებს ბედნიერების... უნდა წავიდე, მე ბოდიში, აღარ მცალია, თქვენ დაიმაღეთ, სულაც ასე ჩუმად ისხედით, ხვალ აღდგომაა, იმღერებენ „ავე მარიას“, ჩვენ კი ფანჯრიდან გავიპაროთ ღამაზ სიზმრებში. ნუხელი ქარმა დაიჭირა მთვარის ქორჭილა და მთელი ღამე მისტიროდა დედაზღვა თევზებს, მე ახლა რა ვქნა, როცა ასე ხელემმოჭრილი დავდივარ ყველგან და დაკარგულ შვილივით გეძებთ.

\*\*\*

რა თავხედობა მეყო, ღმერთო, როგორ გავბედე, რომ მოვუკიდე სიტყვის კონას ლექსის აბედი, ამდენ მწერალში ლექსის წერით ვის გააკვირვებ, მაგრამ სხეულში დამწყვდევულნი სულნი აკივლდნენ, გადავისერე კალმის წვერით თეთრი მაჯები, ჩავიცვი ტანზე დაფლეთილი ხორცის ძაძები, თვალში თივებად ამიგორდნენ სევდის ზვინები მე მირჩენია, შენს მკლავებში რომ ვიძინებდე, მაგრამ ამკაფეს, გადამიწვეს ქარვის ბალები, აქეთ — ზურმუხტი, იქეთ — ლალი, ოდა სახლები, მოვიდა თოვლი, ქალწულივით განვა ყანაში, ბედაურები აჭიხინდნენ მეფის თავლაში, ვინ ვიყავ მაშინ, ვინ მიცნობდა ჩითვის კაბაში, მკერდში მიხტოდა უკარება ორი კალმახი. გლახის ცოლივით ჩამოვიკიდე მთვარის აკიდო და შავი ღამე ნაბადივით მთებზე გავკიდე, ტანზე მაყრიდა ბუსუსებად შენი შეხება, მკერდში სისხლივით ბობოქარი ტალღა მეხლება, როცა მეძინა, როგორც მთვარეს თუთის რტოებზე, ერთი ვარდობა გამოვგლიჯე შიშველ ნოემბერს, გინდა, მიწოდე ჯადოქარი, გინდა — გზნეული, სულ ასე ივლი ჩემი ტრფობით გადარეული, მაგრამ იცოდე, ჩემგან თავს რომ ვერსად დაიხსნი, აჰა, შენ ლექსი და ლოთურად კიდევ დაიხსნი...

\*\*\*

შენ ჩემს ტკივილებს მხოლოდ ლექსის სიღრმით გაზომავ, მოხვალ, დამითვლი იისფერად დამლებს დანეწულს და მერე იტყვი, რომ საშინლად უღამაზო ვარ, რომ ლექსი რალაც ამოუხსნელ ჩვევად დამჩემდა. აუტანელი გახდა ჩემთვის ფარსი დღეები, არეული მაქვს: ოთახები, გული, ნერვები, რომ დამეკარგა სიმშვიდე და ბედნიერება და შემეყარა ლექსი, როგორც ჭინჭრის ცხელება.

რომ ჭაობია ეს ქალაქი ლაფში ჩაფლული, ქვებზე იზრდება შხამიანი ჭორის ყვავილი, ცარიელი ვარ, როგორც ჩემი ტყავის საფულე, მაგრამ სავსეა ჩემი აბგა სიტყვის მარილით. მზე ამოიწვეს ხელისგულზე ქარვის ფოთლებმა, ჩატკბა სხეულში მოდგაფუნე ლექსის ვაჟინი და მერე, როგორც თვალდათხრილმა მიკოტებმა, ღამეს მოსტაცეს ცაზე მთვარე ოქროს ვაშლივით. ღამე ფითრდება ავადმყოფი კაცის იერით, დიდი ხანია, აღარა მაქვს სულში სიმშვიდე და ცაზე მთვარე აყვავილდა, როგორ იელი, მარტო ვიყავი და ობოლი ლექსი ვიშვილე. რადგან ვემშობლე, უნდა ავდეგე, უნდა ვიარო, ტანზე ავისხა აბჯარივით ხორცის ჯაჭვები, რადგანაც გული ახლა ისე ადამიანობს, რომ უშენობა იქნებოდა ჩემი სასჯელი...

ანაკმე\*

ვდგები, ჩემივე ძვლების ფიჩხს ვანთებ, შემომრჩა სული, ერთი შებერვა, ქუჩაში მწკრივად ანთილ ჩირალდნებს თავს დაფარფატებს თოვლის პეკელა. დღეებს გამხმარი პურის გემო აქვთ, ვიხსენებ ძველ დროს და თბილ კერძებს, ვავსებ ლოდინით მძიმე ჩემოდანს და ვხვდები, არსად აღარ მელიან. მთვარე გაძარცულ ხეზე ქანაობს, სისინებს ქარი გველისპერანგა, ნიავე არხევს პალმის მარაოს და მზით ივსება სახლის ვერანდა. გავდივარ, კარებს ღიას გიტოვებ, სახლში არავინ აღარ დაგხვდება და ერთადერთი ქარი-რიტორი, კითხულობს წიგნებს მტვრიან დახლებთან. ტკბილი ვიყავი ოქტომბერივით, ვსვამდი სიცოცხლეს დღეთა ფუჟერით, მე დაგიტოვე თოვლის წერილი, გადამალული ქუჩის უჯრებში. მნიფდება მთვარეც ფორთოხალივით, შეესევინა ბალებს ჩხართვები, ფანჯრის რაფაზე ქოთნის ყვავილნი გზას გასცქერიან, როგორც ბავშვები. გავუშვი სიზმრის სირინოზები, სული კაუჭზე დიდხანს მეკიდა, იპოვი ლექსებს ცრემლით მოზეულილს და სადმე ბოთლით მწარე ტეკილას. დაისხი, შესვი, როგორც ღმერთები სვამენ თრობამდე სავსე ფიალებს, რადგან მოხვედი, კიდევ შევხვდებით, როცა აპრილი გახსნის იარებს. ჩემო ძვირფასო, ფრთხილად გაშალე, საწოლზე დამრჩა წლების ეკლები, ცრემლის მუგუზალს ვახვევ თავშალში, ვიმარხავ სხეულს ლექსის ეკვედრში... ხეები ნაზი თრთოლივით კრთებიან, მინაზე მოვალ თოვლის ფანტომად, რადგან ფოთლები კი არ კვდებიან, დაიშლებიან ათას ატომად!..

\*ანაკმე — ბედისწერა

სამურანის სიზმარი

მზე შენი თვალებიდან ამოდის, ოკაი<sup>1</sup>, სძინავს ჩემს მკლავებზე საკურას, არ მინდა ჰარაკირი, მომკალი!.. ფრთები შემახე და განმკურნავ. საღამომ აირეკლა ჰიკარი<sup>2</sup>, ტბა კალთებს აიკრეფს და დუმდება და როგორც ახდენილი სიზმარი, თვალეები გაახილეს ბუდებმა. შემოგფლეთს ქარი მერქნის კიბანოს, მთვარე ხის ტოტებზე ქანაობს, ო, ჰარუ<sup>3</sup> — მე გაგათობო მცივანო, ო, ჰანა<sup>4</sup> — მოგიჩრდილავ მარაოს. და არ თქვა ეს წყეული სახელი, ცრემლები წვიმასავით შემიშრა, კვდებიან შემოდგომის ბალები და ხელეებს გიკოცნიან, გეიშა<sup>5</sup>. ამ მთაზე, ამ აღმართზე აგვიყვან, ლოდივით მიმძიმდება წარსული, „შიტერუ“<sup>6</sup> — მეუბნები — სად მიხვალ? „შინიგამ“<sup>7</sup> — ჩურჩულებენ ავსულნი!.. მზეს ვიმწყვდებ ხელისგულში მასაი<sup>8</sup>, თეთრ ყელთან იბუდებენ ჩიტები, მშვიდობით — „ოიასუმი ნასაი“<sup>9</sup>! შენ თვალეებს დახუჭავ და მშვიდდები!..

<sup>1</sup>ოკაი — ქალის იაპონური სახელი.  
<sup>2</sup>ჰიკარი — სინათლე.  
<sup>3</sup>ჰარუ — გაზაფხული.  
<sup>4</sup>ჰანა — ყვავილი.  
<sup>5</sup>გეიშა — ლამაზი, იდუმალი ქალი.  
<sup>6</sup>შიტერუ — მიყვარხარ.  
<sup>7</sup>შინიგამი — სიკვდილის ღმერთი.  
<sup>8</sup>მასაი — აფრიკული ტომი.  
<sup>9</sup>ოიასუმი ნასაი — ღამე მშვიდობის.



დავით კიკვაძე

ტურა

1. ქვრივი ქალივით ქვითინებს და გაჰკვივის ტურა. ფოთლოვან ტყეებს საზაფხულო საბანი ხურავს. ღამის სიგრილე დანანაობს, ირწევა თხმელა, ამ შუა ღამეში მშვიდი ძილით არ სძინავს ყველას. დილით მინდორზე განოლილი ნისლი და ცვარი აიკრიფება, თუ იქნება მზიანი დარი. გამოვა კაცი სისხამზე და ყანას გათოხნის. ნამში განბანილ სიმინდს ასდის სუნი სამოთხის.

2. შორს მთვარის შუქზე მოჩანს მთათა ქანდაკებანი, ცაზე ღრუბელი წამომდგარა, როგორც გემბანი. ტრიალ მინდორში ერთ ადგილას დგას თეთრი ცხენი — შენი სამყარო, საბოლოოდ სიმბოლო შენი! წუთისოფელი არის დრამა, არა ზღაპარი! თუ შიშველი ხარ, დაიფარე ცხენის ფაფარი. ცხენის ფაფარი დაიუფლე, გითავშესაფრებს, თუმც თავშესაფრის გარდა მეტს კი მოგცემს ვერაფერს.

3. ქვრივი ქალივით ქვითინებს და გაჰკვივის ტურა და მთვარის შუქში ცაზე ერთი ღრუბელი ცურავს. თითქოსდა დაფრთხა — აშრიალდა თხილიც, თხმელნარიც, ჩემში კი გაჩნდა განცდა მეტად მოუსვენარი... უნდა ვიცხოვრო, უნდა ვწერო ქადაგებანი, სანამდე ცრემლს არ შეერევა ჩემი მელანი. ვიგემე გულში მახვილი და თმენით მივირქვი, ასეთი არის ქრისტიანის გზაც და ბილიკიც.

4. ჩვენი პლანეტა კარგად იჭერს კავშირს კაეშნის — ნაღმივით სკდება წამებულთა სუნთქვა ჰაერში. თანმიმდევრობით, სართულ-სართულ, პირამიდებად რომ აღმართულა მომაკვდავთა ფუჭი დიდება — ეს მოვლენა საზოგადოდ შეუქცევადი, მაგრამ უთუოდ მარცხს განიცდის, არის მსხვერველი! ერთ დროს მეც ვიყავ, რომ ვდევიდი შიშს და კაეშანს. წყვდიადის ფსკერზე ანგელოზის სხივი დაეშვა.

5. გაბრიელ მთავარანგელოზო, კვლავ სიხარული გვამცნე, გვაუწყე, ნაკადებად სულზე გვასხურე. მთავარ სამიზნედ სიხარული მაქვს განზრახული, შემენიე, რომ სიხარულის გავხდე მსახური... სიო უცნობი სავანეა. სიო დაჰხარის მარადახალი სურნელ-სუნთქვით სავსე სამყაროს. ანგელოზთ ფრთები უხილავად ეკვრის გარს ეზოს. სიმშვიდეს უნდა უმადლოდე მთავარანგელოზს.

6. ეს დედამინა ყვავილია, თუმც შხამიანი — შეეხება და სახეს კარგავს ადამიანი, რომ მოინდომებს ფუტკარივით ნექტარის შესმას, სიამენი რომ ამოსწოვოს და ხარბად შესვას, სინამდვილეში, სიტკბოს ნაცვლად უსინჯავს გემოს შხამს, რომლითაც ის ასაზრდოებს საკუთარ ეგოს. ეგოიზმით და ამბიციით თვრება თაობა და თაობათა ცრემლ-სისხლიან სანახაობას სულ, საბოლოოდ სასაფლაო გაათანაბრებს, ანუ სიკვდილი წახვეტს ჭუჭყს და ნაგროვ სანაგვეს.

7. კაცს ბრძოლის შემდეგ რომ გაუვლის შიში და შფოთვა, პირველი განცდით იგი ისევ დანება ცოლთან — ქალის და კაცის ერთმანეთში სრულად გადაღვრა — სიყვარულია — საიდუმლოს შენახვ-დანახვა... ნუ გაიკვირებ, სიყვარული თუკი გეტკინა, — ამოყვავილდა რადგან ქალი შენი ნეკნიდან. ქალია შენი ნაწილი და სხეულზე გეკვრის, რომ ამოგივსოს, გაგიმრთელოს ნაკული ნეკნი.

8. ხევის უღრანში, სიბნელეში გაჰკვივის ტურა, დედამინა კი არ ჩერდება — ბრუნავს და ბრუნავს. არსებობს მხარე დანისლულიც, დაუნისლავიც. დაგტოვე ყველგან თავმდაბლობა, სადაც ვიყავი. მაგრამ ჯერ სადაც არ ვყოფილვარ და ვერც ვიქნები, იქ იქნებიან მომავალში ჩემი წიგნები. სულზე ტკივილი რომ მომეკრო და შემეზარდა, მისგან მოგვრილი ჭრილობები ვანთე კელაპტრად და გულით მიმაქვს ნაპირისკენ. საბედნიეროდ ჭირთა თმენა გასაღები საზეციერო. ეკლის შესობაც საკვირველად ავაკელაპტრე და მე მის შუქზე სულ სხვა თვალთ ვხედავ ყველაფერს...

ქოხი ნისლში

ღამის ნისლში ივლის ქოხი ღარიბული, სადაც მეტრფე წყვილის სუნთქავს თაიგული.

ტყე კვლავ სამოსს იცმევს ლურჯად, სასიმღეროდ, თქორში სერავს სივრცეს ფრთადაღლილი წერო.

ქუჩა წვიმას თარგმნის, რასაც სევდა ახლავს, მინიდან კი თავი აუყვია ბალახს

და ედება მინდვრის სუნი სახლის ერდოს, დედოფალი შინდი ციმციმებს, აენთო.

დილის ნისლში ჰყვავის ქოხი ღარიბული, გზას, ტკივილით გავლილს, მოიგონებს გული.

თოვლის სავანე

მე ვუჭვრეტ თოვლს და თოვლის თეთრ სავანეს, განვრცობილს ყოველგან, წმინდას და უბრალოს, ფანტელი ფანტელს ერთვის — მათ დამალეს ბინდში ჩაფლული ქალაქის უბნები.

ფიფქები მოჰგავს სერაფიმთა გამოცხადებას, — სარკმლიდან ვხედავ, მიყრდნობილი ოთახის კედელს. სადღაც ტრამალზე და ტყეებში ყრია ცხედრები და ათოვს ტრამალს, ათოვს ტყეებს და ათოვს ცხედრებს.

ხეებმა თოვლი ტოტებიდან ჩამოიბერტყეს, შემსუბუქდნენ და კვლავ ძილს მისცეს შიშველი თავი, ცვივა და ცვივა სიხარულით თოვლის ბარტყები, უპირველესად ბავშვებისთვის, ნაძვებს რომ რთავენ.

ვეკუთვნი თოვლს და თოვლის თეთრ სავანეს, წმინდას და უბრალოს, ყოველგან განვრცობილს, რომელსაც არა აქვს ბოლო და სამანი, სამოთხის მაცნედ რომ ჩვენს გულში ჩამოდის.

თოვლისკაცი

ხომ იცი, რომ მე თოვლის ხამი ვარ, ხომ იცი, რომ მე თოვლს მივეშვილე?! თოვლის შემქმნელთან ჩემი ხმა მივა და შეგვიფარებს თოვლით შემოლილებს.


ო, რა კარგია, ძირს რომ ეშვება, ო, რა კარგია თოვლში ბურხალი, თოვლის სინმინდე არ მეეჭვება, სწორედ მიტომ, რომ ბავშვებს უხარით.

დასაბამიდან თოვლისკაცი ვარ მთელი სისრულით, მთელი არსებით, მე გამოვალე ზამთრის მაცივარს და მომეყრება თეთრი მაცივანი.

ხომ იცი, რომ მე თოვლის ხამი ვარ, ხომ იცი, რომ მე თოვლს მივეშვილე?! თოვლის შემქმნელთან ჩემი ხმა მივა და შეგვიფარებს თოვლით შემოლილებს.



და თავი მუხლებში ჩარგო...  
 — ტოტალიტატორში თამაშობდი? — ჩაეკითხა მარისა.  
 — ყველა თამაშობდა... ხო გეუბნები, უბედურ დღეზე ვარ გაჩენილი... მაინც მაინც მე უნდა გამოვეჭირეთ... — ბიჭმა ჩანთილებული თვალებით გოგონას გამოხედდა, — ცოლი და შვილი გამეცენენ... — ლოყაზე ცრემლი გადმოუგორდა, დაჭმუჭნილი ცხვირსახოცი სპორტული შარვლის ჯიბიდან ამოიღო, ცრემლი შეიმშრალა და ცხვირიც კი გვარიანად მოიხოცა, — რაღა უნდა ვქნა... გამწირა ღმერთმა... თუ ვინც ან რაცაა იქ, მაღლა...  
 — კარგი რა... — შეეცადა გოგო მის დამშვიდებას, — ჯერ ახალგაზრდა ხარ, ყველაფერი წინ გაქვს.  
 — ეეჰ, კარგი რა... — ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიტენა და კიდევ ერთი ქვა გატყორცნა აქაფებულად ჩატრიალებული ტალღებისკენ.  
 — ეხლა ვჩალიჩობ, იქნებ ქვედა ლიგაში მოთამაშე მწვრთნელად ამიყვანონ... — უკან გადაწვა, თავქვეშ მოზრდილი გლუვი ქვა ამოიღო და ნაშრონა.  
 — მოდი აქ, თავი დამადე, — გოგონამ ბიჭს კალთისკენ მიუთითა.  
 — უსიტყვოდ წამოიწია ირაკლი, ემბრიონის პოზაში გაშლილი ნაჭრის კუთხეზე მოკალათდა და თავი მარისას მუხლებში ჩაუდო.  
 — რაღა უნდა ვქნა?... — ჩაიჩურჩულა...  
 — დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება, — დინჯად ჩაუჩურჩულა გოგონამ ბიჭს და თმაზე ხელი გადაუსვა.  
 ბიჭს ესიაშინა, გაინახა.  
 — არ ვიცი, რა უნდა ვქნა... — ჩაიჩურჩულა ისევ.  
 — აქ ვარ... შენთან ერთად! ყველაფერი გამოსწორდება, — თბილად მიუგო მარისამ.  
 — ნამიყვან მეც სამოგზაუროდ?... — მორცხვად ჩაილაპარაკა ბიჭმა.  
 — ჰეჰ, რა ვიცი, რატომაც არა? — მხიარულად უპასუხა გოგონამ.  
 — ნავიდები... — მარისას კალთაში თავჩადებულ ირაკლი, ირაკლი კიდევ უფრო მოდუნდა, თვალები მილულა, თითქოს ძილი მოერიდა.  
 — ხო... დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება, — ყურში ჩასჩურჩულა მარისამ და შუბლი ირაკლის თავს ნახად ჩამოადო... — ყველაფერი კარგად იქნება... — გაიმეორა უფრო თავდაჯერებულად და ცისფრად აბრძლელებული თვალებიდან რამდენიმე ცრემლი გადმოუგორდა...  
 უეცრად გოგონას მხერა თითქოს გაქვავდა, ჰორიზონტს მიღმა ღრუბლებში გამტყორცდა... თითქოს თვალის გუბები ნელნელა ერთიანად გაუღიადა... გაუნაცრისფერდა...  
 სადღაც შიგნიდან, მარისას სხეულიდან, სიღრმიდან საზარელი ყრუ ყმუილის ხმა გაისმა, მარისას სხეული ერთიანად წაშლილიყო, კისერი ოვალურად გაებერა, თითქოს ყელში ბურთი აქვს გაჩხვრილი და სადაცაა პირიდან გადმოაგდებო...  
 დაღებული პირიდან ნერწყვი გადმოედინა... ისევ ყმუილის ხმა გაისმა, ამჯერად უკვე თითქოს პირის ღრუდან, ახლოდან ამოიყმუყლა... პირი არაბუნებრივად დიდად გადახსნა, ისევ უცნაური სითხე გამოუშვა, პირი კიდევ დაალო... ბიჭს ლორწოვანი ბაგეებით თავზე წამოეცვა, ნელნელა შეინოვა და მოგუდული ყმუილის ფონზე მთლიანად გადაყლაპა...  
 გოგონას სხეული დეფორმირდა, გადაყლაპული სხეულით გაიბერა და ალაგალაგ გამოიხნიქა...  
 ქარმა ძლიერად დაუბერა, გრიგალი ამოვარდა... საზარელმა არსებამ ერთიც შეღმუჟა, ტალღებისკენ გაიხედა და ხოხვით ზღვისკენ დაიძრა... რის ვაი-ვაგლახით ჩაბობდა აქაფებულ ტალღებამდე... დაბერილი სხეულით წყალში შესრიალდა და ჩაბრუნებულ ტალღების დინებაში ჩაიკარგა...  
 ქარის ტალღას აყოლილი შელახული ტყავის ბურთი კიდევ ცოტა ხანს დაგორავდა ქვიან სანაპიროზე, ბოლოს ადიდებული ტალღა მასაც მისწვდა, ჩაატრიალა და სიღრმეში ჩაითრია.  
 ღელვამ თითქოს იკლო... ცაც ისეთი მოქუფრული აღარ ჩანდა, აქეთ-იქით გაფანტული ნაცრისფერი ღრუბლების ადგილას კამკამა წყლის ფერი ცის ლაქები გამოჩნდა... ხვალ ალბათ კარგი ამინდი იქნება და ზღვაც ჩადგება...



II ნაწილი

— ხელებს ასე ხშირად რატომ იბან? — ჰკითხა მცირეწლოვანმა ვაჟმა და ზუსტად მისნაირი თვალები შეანათა.  
 — სუფთა რომ მქონდეს, — უპასუხა და გამომშრალი და აქერცლილი ხელები სველი პირსახოცით გაიმშრალა.  
 — ასე ხშირად თუ არ დაიბან, სუფთა არ გექნება? — მეორე კითხვა დაუსვა ვაჟმა და ისევ შეანათა.  
 — მართალია, არ მექნება, ამიტომაც ვიბან ამ სიხშირით, — ღიმილით უპასუხა და აბაზანიდან გავიდა...  
 სპორტული ფეხსაცმელი ჩაიცვა, ხელები კიდევ ერთხელ დაიბანა, ქურთუკი შეიკრა, კეპი დაიხურა, მეუღლეს დაუძახა და სთხოვა, რომ კარი ჩაეკეტა, გასვლის წინ ტუჩებში აკოცა და კიბეზე დაეშვა. სადარბაზოდან გასული ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ გამზირზე გავიდა და სუპერმარკეტისკენ დაიძრა. გზის სავალ ნაწილზე საკმაოდ სრული ქალის სილუეტს მოჰკრა თვალი, დააკვირდა, ეცნო, უფრო მეტად დააკვირდა და იცნო, ცალსახად იცნო, იმის მიუხედავად, რომ ფორმები აშკარად შესცვლოდა, იმის მიუხედავად, რომ თმა ქერა ჰქონდა ღია ყავისფრის ნაცვლად, იმის მიუხედავად, რომ საერთოდ სხვანაირად ეცვა, იმის მიუხედავად, რომ ბევრი წელი გავიდა...  
 წამით წარმოიდგინა, რომ მის დანახვას იმჩნევდა, ესაღმებოდა, გადაკოცნა უნედა, გადაკოცნა, კოცნა, ტუჩების ლოყაზე შეხება, ტუჩების კანზე შეხება, თმასთან სახით შეხება, ლოყის ლოყაზე მიღება, მისი ტუჩების საკუთარ ლოყაზე მიღება, სხვისი ტუჩების... და შემდეგ უაზრო საუბარი იმაზე, თუ ვინ საით (დიხს, საით და არა — სად) არის და რას შერევა. წარმოიდგინა და გადაწყვიტა: არ მიესალმა, არაფერი უთხრა, არც კი გაუღიმა, შეხედა და მაღევე თვალი აარიდა, სხვა მიმართულებით გაიხედა, მის ნაცვლად არაფერს შეხედა, სიცარიელეში ყურება არჩა მისთვის შეხედვას, მასთან მისალმებას.  
 ჩაუარა, მარჯვენა ხელი მაღლა აწია და სუპერმარკეტის შუშის კარი მისთვის ხელმისაწვდომ ყველაზე მაღალ წერტილზე (იქ, სადაც სხვათა თითის ანაბეჭდები არ იყო) ჩაჩვენებელი თითის მიწოლით შეაღო. შევიდა, სიღრმისკენ იარა ბოლომდე, იქ მაცივრიდან ენერჯეტკული სასმლის ქილა გამოიღო და სალაროსთან დაბრუნდა — რიგი მოუნია, პარასკევი საღამო იყო და ყველა სასმელს ყიდულობდა, თან უმრავლესობა ალკოჰოლურს. დაფიქრდა, მეც ბარემ აქედან ხომ არ დავიწყებ?! გაახსენდა, რომ გამზადებული კოქტეილები ეწყო

რომ სხვა შემთხვევაში თავს სუფთად ვედარ იგრძნობდა და მთელ საღამოს დისკომფორტში გაატარებდა. ან სულაც ვერ გაუძლებდა და სახლში დაბრუნდებოდა საფუძვლიანად საბანაოდ. სწორედ ამიტომ არ მივიდა და არ მიესალმა. კმაყოფილი იყო იმით, რომ ასე შეინარჩუნა სისუფთავის შეგრძნება.  
 II ნაწილი  
 — ხუთ წუთში მანდ ვიქნები, ჩამოდი და შენ რომ გიყვარს იმ ბარში წავიდე, — ხმამაღლა მოლაპარაკის გამოყენებით უთხრა ახალგაზრდა კაცმა და ნითელზე მანქანა გააჩერა.  
 — კარგი, ახლავე ჩავიცივამ და გარეთ დაგხვდები, — უპასუხა ქალმა.  
 — რამე ხომ არ წამოგიღო? — ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა.  
 — არა, არაფერი, თუ რამე იქნება საჭირო, მერე ვიყიდოთ ერთად, — უპასუხა ქალმა, ტელეფონი გათიშა და ქურთუკის ჩაცმა დაიწყო...  
 ექვსი თვის ბავშვი დედამისს დაუტოვა, კიდევ ერთხელ დეტალურად აუხსნა, რა და როგორ უნდა ექნა, რა უნდა ეჭმია, როდის უნდა დაეხანა, რა უნდა ჩაეცვა და ასე შემდეგ. ბოლოს ფეხსაცმელი ამოიცვა, ბავშვს თავზე აკოცა, ჩანთა გადაიკიდა და კარი გაიხურა ისევ, რომ ხელების დაბანა არც კი უფიქრია. გამზირზე გავიდა და იქ დადგა, სადაც ელოდებოდა ხოლმე, როცა მისთვის უნდა გამოეცვლინო. არ ციოდა, სასიამოვნო ამინდი იყო და ცას ახედა, ვარდისფერი ღრუბლები დაინახა — იფიქრა, რა ლამაზიაო — კარგა ხანს უყურდა და ისევ ქვემოთ რომ ჩამოიხედა, ნაცნობი სახე დალანდა. მაშინვე იცნო, იმის მიუხედავად, რომ კაცი გასუქებულიყო, თმაც ბლომად გასცვენოდა და ისევ კარგად აღარ ეცვა, როგორც ადრე.  
 მომენტალურად ათასი მოგონება ამოუტივტივდა ერთად. შერეული და უსიამოვნო გრძნობა დაეფულა, მიხვდა, რომ არ უნდოდა ამ კაცის ნახვა, მასთან მისალმება, გადაკოცნა და, რაც მთავარია, ეჭვიანი ქმრისთვის იმის ახსნა, თუ ვის ესაუბრებოდა არც კი რატომ. არ მიესალმა, არაფერი უთხრა, არც კი გაუღიმა, შემთხვევით თვალში შეხედა, იხანა და მაღევე თვალი აარიდა, ისევ ცას ახედა და ვარდისფერ ღრუბლებს დაუწყო თვალთვლიერება.  
 კაცმა ჩაუარა და სუპერმარკეტში შევიდა. მაღევე ქალთან ახლოს არც ისე ახალი, მაგრამ საკმაოდ მახინჯი „ბემედი“ იქს ექვსი გაჩერდა. ჩაჯდა, საჭესთან მჯდომ კაცს აკოცა და ნავიდა, თან მანქანის ფანჯრიდან სუპერმარკეტისკენ გაიხედა, ერთხელაც უნდოდა თვალის შევლება, ოღონდ ვეღარ დაინახა. კაცი იმდღევანდელ ამბებს უყვებოდა, ქალი თან უსმენდა და თან იხსენებდა ყველაფერს, რაც აკავშირებდა ადამიანთან, რომელთან მისალმებაც კი არ მოუნდა — პირველ შეხვედრას, პირველ ჩახუტებას, პირველად ერთად დაძინებას, ქალიშვილობის მტკივნეულ დაკარგვას, ეჭვიანობებს, გარჩევებს, ჩხუბებს, დაშორებებს და შერიგებებს გაახსენებდა. ისიც გაიხსენა, როგორ ეჩხუბა იმის გამო, რომ მეზობელზე იეჭვიანა და როგორ აღარასოდეს უნახავს მას შემდეგ. უყვარდა, კიდევ დიდხანს უყვარდა, მაგრამ არაფერს ეუბნებოდა, ელოდებოდა, რომ ის გამოჩნდებოდა. მაშინაც კი არ დაუკარგავს იმედი, როდესაც ერთ დღეს ალმოაჩინა, რომ ფეისბუქიდან წაშალა. თავიდან გაუგებავსა მემგობრობის მოთხოვნა, რომელზეც პასუხი აღარასოდეს მიუღია.  
 მერე საბერძნეთში წავიდა დედასთან, ხან სად იმუშავა, ხან — სად, იარა აქეთ-იქით, ათვალეირა რაღაცები, გული დიდად ვერ დაუდო და რამდენიმე წელში ისევ საქართველოში დაბრუნდა. ჯერ ერთ ბიჭს ხვდებოდა დიდხანს, შემდეგ — მეორეს. ამასობაში წლებიც გავიდა, იმ მეორეს გაჰყვა ცოლად და პირველ ღამეს დეფლორაციის იმიტაციაც მოუწია...  
 სწორედ ქმარმა მიაკითხა ახლაც, მანქანაში ჩასვა და „მწერლების ბარში“ წაიყვანა იმის მიუხედავად, რომ არც ერთი იყო მწერალი და არც — მეორე. ფანჯრიდან ისევ ვარდისფერ ღრუბლებს ახედა და მიხვდა, რომ კმაყოფილი იყო იმით, რომ არ მიესალმა, გვერდი აუარა და აურა არ დაიბინძურა უსიამოვნო შეგრძნებებით. კმაყოფილი იყო იმით, რომ ასე შეინარჩუნა სისუფთავის შეგრძნება...



\*\*\*  
 გარდა იმისა, რომ ჩემს ერთადერთ შვილს უნდა ვასწავლო ბევრი რამე, უნდა ავუხსნა, როგორ იყოს მარტო, როცა გვერდში ძალიან ახლობელი დასჭირდება, უნდა ვასწავლო, როგორ უნდა უყვარდეს მისი მეგობარი ისე, როგორც საკუთარი სისხლი და ხორცი და არა როგორც მარტო მეგობარი. ჩემს ერთადერთ შვილს უნდა ვასწავლო სამძიმარი სხვისი დის... სხვისი ძმის... ისე, როგორც საკუთარის! ჩემს ერთადერთ შვილს უნდა ვასწავლო, რომ მის ტელეფონში არასდროს არ იქნება „ჩემი ძმა“ ჩანერილი და ჩანეროს ასე სხვები, რადგან ისინიც ასე უნდა უყვარდეს... უნდა ვასწავლო, რომ საფიცარი, შეიძლება, დედის გარდა არავინ ჰყავდეს, ან მამის და ისე დაიფიცოს, რომ გული არ ეტკინოს. ჩემს ერთადერთ შვილს უნდა ვასწავლო, რომ დედამამშვილის სადღეგრძელოზე იქნება ყველაზე მარტო... ყელში ბგერა გაეჩხირება და დაემსგავსება ყრუ-მუნჯს! დიახ, ჩემს შვილს უნდა ვასწავლო მარტოობა, რომელიც მე თავად არ ვიცი... ჩემს ერთადერთ შვილს უნდა ვასწავლო ეს ყველაფერი, თუ უკვე არ იცის! ხშირად უნდა ვუთხრა, რომ ჩემთვის ორიც არის, სამიც და ათიც... და უნდა ვუთხრა, რომ ყველანი ვასრულებთ ზეცის შეკვეთას — თქვენ ქარში ფრენით, ჩიტი — სტვენით და მე? მე მარტოობის სწავლით.

\*\*\*  
 სურამში ბებიაჩემს ალუბალი ამოჰქონდა, როცა კი დამნიფდებოდა, ჩემთვის თავის სახლიდან პატარა ჯამით...

ადრე, საბჭოთა დროს, ემალის ჯამები იყო ხოლმე — რკინის, ზომიერი. გუშინ იმ ალუბალთან მივედი და თავად დავკრიფე. ვიდექი ხესთან მე, დიდი გოგო, და ბებიაჩემი არსად ჩანდა... არც ის ჯამი — ემალის. იყო ალუბალი მწიფე, სისხლისფერი და ისე კონიალობდნენ ხეზე, როგორც ჩემი ნერვები ამ ყველაფრისას... სადღაც ფანჯრის რაფაზე ძველი წნევის აპარატი იდო, წნევა 180-100 აჩვენებდა კვლავ-ბოლო ჩვენებას... და ვგრძნობდი, რომ წნევის აპარატი მისი გულისცემით იყო გაჯერებული... ძველი კარადა, სადაც ტელეფონების წიგნს ბინა ედო ხოლმე, იდგა ისევე ისე, ჩემი სახლის ტელეფონის ნომერი — გოგოლაძე — ისევე წითლად იყო გახაზული ბებიაჩემის ხელით... ასე იყო, მისი ნაკვალევი იმ სახლში დარჩენილი... მწიფდა ალუბალი, მწიფდა და ჩემი წნევა ამ წნევის ნიშნულს (ზევით რომ აღენიშნე) უტოლდებოდა და მახსენდებოდა ჩემი ბებიის სიტყვები: „რა დროს შენი წნევაა?!“ ტელეფონის წიგნი ავიღე, ჩემი მობილური მივანერე... ისიც წითლად გავხაზე... რა იცი, რა ხდება... ეზოდან თვალს მიკრავდა სისხლისფერი ალუბალი... და ჩემი ნერვები კი ყურებზე დაკონიალებულ ალუბლებს ჰგავდა... ახლა ცოტა მშვიდად ვარ, ჩემი მობილური ტელეფონების წიგნში წითლად არის გახაზული...

მთელი გულით გავხაზე! ხელის დაჭერით, რამოდენიმე ფურცელს რომ კანრავს, ისე... — ალო, — ალო... ალუბლები შეიფერნენ... ბებია ეზოში... უშენოდაც დამნიფებულან, ეს მეტიჩარა, ალისფერი, მეტიც — თავის თავის ფერი — გოგოები!

ჩანახატი შენთვის

ყველა წერილი მაქვს დედაჩემის შენახული, ჯერ კიდევ სტუდენტობისას მწერდა, ან ჩუმად, კაბის ჯიბეში, ან, თუ ზამთარი იყო, ქურთუკისაში მიდებდა ხოლმე. ყველა წერილი მაქვს შენახული და თავს ვეველები ისე, როგორც მარგალიტს, ან მარგალიტი რა მოსატანია დედაჩემის მოკაზმულ ასოებთან! ყველა წერილი მაქვს შენახული — არიან შელახულნი, მაგრამ სიტყვები: — მიყვარხარ, დედა! მშვიდობით იმგ ზავრე, შენ ჩემი გიშრისთვალეა ხარ! ისევე ისე ატყვია... პირობას ვდებ, ასე იქნება ეს წერილები მთელი ჩემი სიცოცხლე ჩემს ოთახში და როცა ქინაქინა ან „ალთე“, ავადობის დროს რომ მასმევედი ხოლმე, მათ ფუნქციას ყოველთვის შეასრულებს და იქნება ჩემი ზაფხული, გაზაფხული, პირველი მერცხალი, იქნება გზა მშვიდობისკენ სავალი! ყველა წერილი მაქვს შენახული, ახლა ჩავრგავ დაქანცულ თავს ჩემს ხელისგულში, რომელიც თითქოს შენი კალთაა, კიდევ ერთხელ თვალს გადავაველებ ყველა წერილს, ბევრია... თუმცა, როცა კი თითოეულს დავხედავ, ყველა მხრიდან შენ გამორჩევი... შენ ხომ ყოველთვის და ყველგან მელი, სულ უმიზეზო და გულმონყალე. ყველა წერილი შენახული მაქვს, შენ ოლონდ წერე, მწერე, მწერე, დაუსრულებლად!

აღდგომა...

აღდგომის წინა კვირას გადმოდებოდა ხოლმე პაპაჩემი აივანზე, როცა უკვე ასაკში იყო, და დილიდანვე გვაფრთხილებდა ეზოში მოფუსფუსე მე და მამიდაჩემს, რომ საფლავზე ვიყავით გასასვლელი, რომ აღდგომას დედის საფლავი ჰქონოდა სუფთა და წკრიალა... არასოდეს, სანამ პაპაჩემი აივანზე არ გადმოდებოდა,

არ ავივლიდით იმ საფლავების აღმართს, ამ რიტუალს სულ ველოდი... ეს პაპაჩემის გადმოდგომა იყო სიკვდილის შემდგომი პასუხისმგებლობა და საკუთარ დედასთან ძახილი, იდგა პაპაჩემი აივანზე და ჩვენს მიერ საფლავის დასუფთავებით დედამისს საბანს უკეცავდა ლოგინში... ეს გადმოდგომა ჰგავდა, ჰგავდა არა, იყო, ურთიერთობა დედა-შვილური, ეს გადმოდგომა იყო იავნანა... ასე იდგა პაპაჩემი აივანზე და შორიდან ეფერებოდა დედამისს... ომივით მოვარდებოდა ხოლმე მოგონება და ნესტივით მიჰონავს თითქოს სხეულს... აღდგომა მოდის...

\*\*\*  
 სურამიდან წამოსვლა საკუთარ თავთან სამძიმარს ჰგავს, კართან აყუდებული მშობლები მკოცნიან, ჩემს ლოყას ნუგეშად იტოვებენ... თვალის მოფარებამდე ხელს მიქნევენ და ამის მერე მეყრება მინა გულზე და ვმუნჯდები. ვარსკვლავებს ვხედავ გულში და ცაში ახედვის სურვილიც კი არა მაქვს. სურამიდან წამოსვლა სეტყვას მაგონებს, რბილობებს რომ ყუჟავს ხოლმე, თუ სხეულს მიუგდებ, მეც ასე მიუვადე ჩემი სხეული თბილისს და ასე ვარ და ვიქნები დაბეჭილი მთელი ცხოვრება... ვიღებ ნებისმიერ დროს სამძიმარს — უსურამობის დროს... თუ ასე ჩემნაირად ვინმე ამას განიცდით, მოდით, ხელი მომიკიდეთ და მითხარით, რომ მინა მარტო მე არ მაყრია... და თუ მაყრია, მსუბუქია და მაშინ მაინც მომშორდება, როცა სურამში შესვლისას ჩემების ზარი ტელეფონზე გამოჩნდება და ხმა: — სად ხარ? იცოდეთ, მე სულ მანდ ვარ, უბრალოდ პასუხისმგებლობა ჩემი თქვენდამი სიმორის მიზეზი აღმოჩნდა, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ჩემი პასუხისმგებლობა თქვენ უნდა იყო... სურამიდან წამოსვლა საკუთარ თავთან სამძიმარს ჰგავს...



ეს დღეები დაკარგულივით ვივლი,  
მომენატრება ჩემი სურამი,  
რომელშიც სახე ჩამივარდა და  
სხეულიც მიჰყვა ხელ-ფეხიანად...

**ჭეშმარიტება „უბრალოდ“  
და ადვილად გასაგებად!**

ამ წითელ პარასკევს  
წელიწადში ერთხელ  
ყველაზე მეტად ვარ  
ახლოს ღმერთთან,  
ასე მგონია  
და მტკივა.  
სულ ვფიქრობ,  
როგორ ენამა ჩემთვის,  
როგორ გადადო თავი  
და  
მე კიდევ მილიონჯერ  
ვერ გადავდე თავი მისთვის  
და მრცხვენია...  
ის კიდევ — ნანამები,  
სისხლიანი —  
დამყურებს  
და  
მპატიობს  
და  
მპატიობს,  
მეტიც — ვუყვარვარ...  
ახლა კიდევ იმედი მაქვს,  
რომ კიდევ ერთხელ  
მაპატიებს...  
და  
კიდევ ერთხელ გულში ჩამიკრავს,  
კიდევ ერთხელ დამაიმედებს,  
გადმომხედავს  
და  
ამ ჩემი ცხოვრების მანძილზე —  
აღდგომას  
ისევ  
მაზეიმებს...  
ისევ მაპატიებს,  
ისევ,  
როცა ცაში მისთვის ავიხედავ,  
იქ იქნება —  
როგორც ცა, როგორც მთვარე,  
როგორც მზე  
და  
ვარსკვლავები!

**ხვალ**

ხვალ ბებიჩემს კიდევ ერთი  
წელი მოემატებოდა,  
ცოცხალი  
რომ  
ყოფილიყო...  
იმერულ თხელ მჭადებს  
ისევ ძალა დაადგებოდათ  
და  
გაპინიკინებული  
მჭადის სუნი  
გამოანგრევდა  
ჩემს სურამულ  
ხის ფანჯრებს.  
გობში  
ხალი  
აკაკუნდებოდა  
და  
ყველაზე ლამაზი  
კაბა  
მას  
ეცმეოდა...  
ტურზე  
წითელი პომადა ექნებოდა  
წანმული  
და  
ფეხზე  
ოდნავ მაღალი ქუსლით  
გამოკეკლუცდებოდა  
სამზერზე...  
„კოსას“ მილიონი  
„შპილკით“  
დაიმაგრებდა,  
მიიღებდა მილიონ მილოცვას  
მოსწავლეებისგან  
და  
ცხრა შვილიშვილი  
ცხრათვალა მზეებივით  
თავზე დაადგებოდნენ!  
პაპაჩემი იქნებოდა  
ყველაზე ბედნიერი,  
როგორც ხდებოდა ხოლმე,  
რადგან მათ მერე  
ეგეთი დიდი სიყვარული,  
მგონი, არ მინახავს...

ყველაფერი გაჰყვა ბებიჩემს,  
დამიტოვა საზომი სიყვარულისა —  
ვიცი, რანაირია...  
ჩემს სურამულ ფანჯრებს  
მჭადის სუნი ვეღარ ანგრევს ხოლმე  
იმდაგვარად!  
ხის ფანჯრებიც  
რალაც სხვა მასალამ შეცვალა...  
იმ გობმაც  
დაიდო ბინა  
მყუდროდ...  
გობმაც იტირა ბებიჩემი,  
ბზარები აქვს გაჩენილი.  
ყოველ ჩსვლაზე  
სურამში...  
სიცარიელემ გამოჭამა მისი სურვილი,  
რა გავაკეთო, ხვალ ვფიქრობ,  
მჭადებს დავაცხოვ  
და  
ჩემი სახლის ფანჯრებს დავაღებ,  
რომ  
ძალიან შორს,  
ან ახლოს,  
არ ვიცი, სად ხდება ეგ ამბავი...  
სუნი მივიდეს  
და მიხვდეს  
იმიერში  
ბებიჩემი,  
რომ  
მასხოვს...  
კაბებს მისას  
გადმოვალაგებ და  
სათითაოდ  
გავისინჯავ,  
წითელ პომადას  
საგანგებოდ ვიყიდი  
და  
ვიქნები ბებიჩემი...  
დავჯდები და  
იმ ცხრა შვილიშვილს  
მეც დაველოდები,  
მგონი, წინ მაქვს ყველაფერი...  
თავად ასე მასწავლიდა...  
აბა, რა გითხრა, ბებო,  
იქნებ შენც სიზმარ-სიზმარ მეძებ,  
იქნებ სულაც  
ბნელში ვცხოვრობთ ერთად!

\*\*\*

თაფლის სკას ჰგავს ჩემი სახლი,  
დილიდან ვბზუი,  
ფრთებს ვისხამ  
და  
ვარ  
დედა ფუტკარი.  
მანის ფაფას  
შაქრით ვატკობ  
და  
ჩემი ქმრის  
ტანსაცმელს  
თბილ უთოს ვადებ,  
ისე ვაუთოებ, რომ  
სითბო დღის ბოლომდე  
ზურგზე,  
ზურგიდან კი  
გულში გადავიდეს...  
თაფლის სკას ჰგავს ჩემი სახლი,  
ვბზუი და ვბზუი,  
მამალი ფუტკრები  
თავზე მახვევია,  
განგებამ მხოლოდ  
მე მარგუნა  
გოგობა  
ამ სახლში...  
ვარ დედა ფუტკარი,  
ვაშენებ  
სკას  
ამ ჩემს ბიჭებთან ერთად  
და ერთადაც  
ვუძლებთ  
ამ გაუსაძლისად სასტიკ,  
მიტოვებით,  
განგაშითა  
და  
სიყვარულით სავსე ცხოვრებას.  
ყოველ ჯერზე,  
სახლში მისვლისას,  
თაფლში ვეფლობი  
და  
ვარ თავად თაფლი —  
მაისის თაფლი,  
წაბლის თაფლი,  
ცაცხვის თაფლი...  
სკიდან ჩემი ბიჭები მიღებენ ხოლმე  
და  
მეც  
მათთვის ვბზუი,

მათთვის ვშაქრდები  
წაბლის,  
თუნდაც  
აკაციის, თაფლად...

**უბრალოდ ასე!**

ღვთისმშობლის დაბადების დღეზე  
მამიდაჩემი მახსენდება,  
იმიტომ კი არა, რომ  
მას ვადარებ,  
ღვთისმშობელი  
ხომ შეუდარებელია!  
იმიტომ, რომ დედამინაზე  
მამიდაჩემიც  
შეუდარებელი გოგო (დედა)  
მგონია.  
ცაში შენ ხარ, ღვთისმშობელო!  
მინაზე შენი კალთაგადაფარებული  
მამიდაჩემი,  
ექვსი შვილი რომ  
გააჩინა  
და  
ექვსჯერ თავზე ადექი,  
განა, მამიდაჩემმა ვერ შეგნიშნა,  
მაგრამ მშობიარე ქალებს  
ხილვები,  
ალბათ,  
მალე ავიწყდებათ,  
მერე ჩვენ რომ გვიამბონ ხოლმე!  
ასე  
გენდო მამიდაჩემი და  
ექვსჯერ  
გიხილა  
მის თავთან.  
კი არ მიწყინო, ღვთისმშობელო,  
მაგრამ  
შენც ხომ ასე გინდა,  
ვინმეში ან ვინმესთან გხედავდეთ.  
მე ბევრს დავწერ შენზე, ღვთისმშობელო,  
შენ ოლონდ დაიბადე  
და  
ბევრ  
მშობიარე ქალს  
თავზე დაადექი!

\*\*\*

შენ რა გითხარი, მამაჩემო,  
ოდესღაც რომ გადამწყვიტე,  
რომ  
აი,  
მოდე და  
მოვიდეს...  
და  
რანაირად გენდეთ ასე,  
ორივეს, მეც რომ  
დაგთანხმდით?..  
შენც,  
დედასაც!  
დათანხმებას ვინ ჩივის?  
ყველაზე მეტად შემეყვარდით...  
მაგრამ სულ ვფიქრობ,  
ასე სავე მოვედი,  
თუ გზადგაზა  
თქვენ მასწავლეთ  
ეს  
სიყვარული?!  
შენ რა გითხარი, მამაჩემო,  
შენ რა გითხარი, დედაჩემო,  
ეს რა მასწავლეთ!

\*\*\*

შენი ძმა ჩამოვიდაო,  
დილას დედაჩემმა მომახარა,  
თითქოს დავიბადე,  
სახელიც კი დამარქვეს...  
ხომ შეიძლებოდა, განგებას  
ხელი აეღო ჩემზე  
და  
მსგავსი ემოციები  
არც კი მცოდნოდა...  
მაგრამ  
მოხდა სასწაული  
და  
ზუსტად ყველაზე მაგარი  
რამე მარგუნა  
უზენაესმა,  
ყველაზე მართალმა —  
გრილი სამოთხე —  
ძმის მოსვლის სიხარული...  
ახლა ვარ სავსე მთვარე,  
მაქვს ორი თვალი  
და  
მზესაც არ ვუდებ ტოლს  
გაცისკროვნებაში...

ვარ სავსე,  
მთლიანი...  
ტენით  
და  
წემომპალით  
გაჟღენთილი მინა...  
პირზე ღიმილად  
შენი სახელი მაქვს გადაკრული...  
დედაჩემმა მახარა,  
შენი ძმა ჩამოვიდაო...  
თუ არსებობს ამაზე დიდი  
ჩამოსვლა,  
მოდით,  
მითხარით.  
ერთად ვიყოთ —  
ბადრი მთვარე  
და  
მზე ცხრათვალა...  
ჰეი, ჩემო გიშრისთვალავ,  
იცოდე,  
რომ  
ყოველთვის  
მინდა, გყავდეს ვინმე,  
ვინც შეგახსენებს,  
რომ  
ამქვეყნად შემოსვლისას  
სიხარული მოიყოლე,  
ბედნიერება,  
სინათლე,  
აყვავებული ხეები  
და  
იმედი  
შენფერი...

**ღაბაღება**

დილა რომ გათენდება,  
ცისკარი რომ დადგება,  
შენ წაგიყვანენ, დედა,  
და  
მე გამაჩენ.  
„პოლიონკებს“  
შემომახვევ  
და  
მზურთავ ცხოვრების გზაზე.  
ამ ცივ ზამთარში  
იმიტომ გადავწყვიტე  
მოსვლა,  
რომ  
მერე  
სადმე სიცივის,  
ცივი ადამიანების,  
გაქვავებული სახეების  
არ შემშინებოდა...  
ვიქნებით მე და შენ  
ოთახში,  
მე ვიქნები შენზე მოკრული,  
შენ — ცოტა შემშინებული,  
მეტი პასუხისმგებლობით  
სავსე  
ჩემი დაბადებით  
და  
თავში ათასი აზრი გექნება:  
ჩემ გამო:  
ჩემი აკვანი, მერე სკოლა,  
გოგობა, ოჯახი, შვილიშვილები...  
იჯდები სანოლზე  
ჩემით აღვსილი,  
ბედნიერი,  
მაგრამ  
ნაფიქრალი,  
რომ აღარ იქნები მარტო,  
რომ  
ახლა  
თავისუფლებას  
დაერქმევა  
ჩემი სახელი,  
რომ  
დილა  
მარტო მზით სავსე დღე  
აღარ იქნება  
შენთვის...  
მე კი ყველაფერი  
მაშინ დაგიფასე,  
როცა  
შენნაირად ვიჯექი სანოლზე  
ჩვილით ხელში...  
კვირას,  
დილის ექვს საათზე,  
მე ვავიბადე,  
იანვარი კუდს იქნევდა,  
ხეში კი წყალი დგებოდა  
და  
ჩემი მშობლები  
პასუხისმგებლობის  
ათ მცნებას წერდნენ!







მართლა გაფრთხილებულია კაცი — და ხმადაბლა მიჩურჩულებს: „რა ვქნა? ავფრინდე, სანამ შესაძლებელია? კიდევ გვაქვს ასაფრენად ხუთიოდე წუთი“. გეფიცებით, იმ წამს იმ ასიოდე კაცის ბედი, ისევე როგორც ჩემი, საერთოდ არ მალევევდება. მოკლედ მოვუჭერი: „დაუყოვნებლივ აფრინდი!“ და კიდევ უფრო მტკიცედ ჩავჭიდე „პაპკას“ ხელი. არისო, მიპასუხა, კაბინისკენ გავარდა და სულ მალე ჩართული ტურბინების ხმა გავიგეთ ყველამ. იმ წუთში მე უკვე პოლიტიკოსი ვიყავი და არა რიგითი მოხელე. დანარჩენი კი გეცოდინებათ: ცენტრის მოულოდნელი დადგენილება თბილისის კომიტეტის შესახებ, ჩემი წინსვლა... ბატონი შოთას მიმართ კი ჩემი გურული სიტყვა არ გამიტეხავს, ჩვენ კაცები ვიყავით და კაცებად დავრჩით.

\*\*\*

ამასობაში კი საკონსტრუქტორო ბიუროში უფროსი ოფიცრის მიერ სპეცდავლებით მივლინებულმა უშიშროების დაბალი რანგის თანამშრომელმა ილიკო თავართქილაძეზე გაიგო ყველაფერი, რაც ევალეობდა და უკან ხელცარიელი არ ბრუნდება. მართალია, იქნა და ობიექტი ადგილზე არ დახვდა, მაგრამ სამაგიეროდ არც პირადი კონტაქტი გახდა საჭირო, ზედმეტიც კი იქნებოდა, „დასავერბოვებლად“ ხომ არ იყო გამოგზავნილი, „ვერბოვშიკები“ ასე ლიად არ მოქმედებენ... მართალია, ასეთ იაღლიშებს მომავალში არ მოუწონებენ, თუმცა არა უშავს, დღევანდელი უფროსი გადახარშავს როგორმე, დიდი დიდი სიტყვიერი შენიშვნის შემოიფარგლოს... კადრების უფროსს კი საბუთი მაინც უჩვენა — ან ის კაცი თავის უშუალო უფროსთანაც კი ვერ ამოიღებს ხმას, არ აიტყვივებს აუტყვივარ თავს.

მოკლედ: ახალგაზრდა სპეციალისტი ილია თავართქილაძე (მცხოვრები აქა და აქ) არავითარ უკანონობაში შემჩნეული არაა, დადებითად ახასიათებენ, სამხედრო და სხვა საკადრო საბუთები სრულ წესრიგში აქვს, ბოროტ ანტისამთავრობო გამონათქვამებსა და საბჭოთა წყობის კრიტიკაში შემჩნეული არაა, ნაციონალისტურ გრძობებს ღიად არ ამუღავნებს. ხიფათს, როგორც ასეთს, საზოგადოებისთვის არ წარმოადგენს. ზოგჯერ ჰყვება ანეკდოტებს სუფრაზე, მაგრამ ეს ისეთი წერილმანია... ამით დღეს ვერავის გააკვირვებ და ეს ძალზე ცუდი იარაღია შანტაჟისთვის. არც აქცევენ უკვე ამას მის უწყებაში დიდ ყურადღებას, რადგან პოლკოვნიკები თავადაც ხარხარით უყვებიან ერთმანეთს მსგავს ანეკდოტებს... ერთი კია: ამ სამსახურში რისთვის და რატომ აიყვანეს ბოლომდე თავადაც არ იცის, სავარაუდოდ ჯარში სამსახურის პერიოდში დაადგეს თვალის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მას, „მკვდარი სეზონის“, „ზორგესა“ და „ფარი და მახვილის“ მსგავს იდეალებზე აღზრდილ ყმაწვილს, თავისებურ რომანტიკოსს, რომელსაც სკოლის მერხიდანვე იტაცებდა ომი და დაზვერვა, დღეს ვიღაც ბებრუტუნების მიერ გაცემული რალაც სულელური დავალებების შესრულება უნევს და ამ დავალებებს არაფერი აქვს საერთო არც დაზვერვასთან და არც ომთან, ფაქტობრივად საკუთარი პატიოსანი თანამოქალაქეების სანაირადმდგომდრ უნევს მოქმედება. არ მოსწონს ეგ ამბავი, მაგრამ კაი ბიჭი ხარ და დაარღვიე რამე! უწყებაში ხომ მთავარი ნებისმიერ ფასად ზემდგომის ბრძანების შესრულებაა. აი, დღესვე მივა და უპაატაკებს დავალების გამცემს, რომ მოქალაქე ილია თავართქილაძე ერთი ჩვეულებრივი ლოიალური საბჭოთა მოქალაქეა და რომ არც საბჭოთა ხელისუფლებას და არც იმ ვიღაც უცნობ მალაჩჩინოსანს მისგან არანაირი ხიფათი არ ელის, მშვიდად შეუძლია ძილი.

რომანტიკოსმა ჩეკისტმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ გავა რამდენიმე წელი და ის მართლაც აღასრულებს თავის საყმაწვილო ნატვრას, გადავა დაზვერვაში და უკვე კაპიტნის ნოდებაში დაიღუპება ავღანეთში ათი წლის შემდეგ. თალიბები თავს მოკვებენ, როგორც გაიურს ტყვეთა გაცველის ჩაშლილი ოპერაციის გამო. რალაც ისე ვერ წავიდა, როგორც გეგმის მიხედვით იყო თავიდან განსაზღვრული. დიდ ომში გაუგებრობას ყოველთვის ვერ აიცდენ და ვიღაცამ უდროოდ დროს სადღაც მთაში თუ უღრან ტყეში ტყვია გაისროლა. შედეგი კი — მოჭრილი თავი...

\*\*\*

ილიკო თავართქილაძის ქვლები ვინრო წრეში და ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე, ცხადია, იქვე მდებარე „ელდორადოში“ გაიმართა. აბა, ჩვენი ილიას ხსოვნა იყოს, წარმოთქვა შესაძლობარი სიტყვა თამადამ ანეული და კახური რქანითლით შევსებული დიდი ჭიქით ხელში: აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგეს...

\*\*\*

მეც ავწევ ერთ სირჩა შესანდობარს ჩემი ძველი მეზობლისა ილიკოსი. ძველი „უბისელით“ ჯობია... ცოტა კი მომწყინდება მისი დილის ვარჯიშის გარეშე. არ გამოვიდა ჩვენი პირვანდელი ჩანაფიქრი, გვსურდა, ოდესღაც ეს ქვეყანა ასეთი თავართქილაძეებისთვის აგვეშენებინა, უბრალო ადამიანების გათანაბრება გვსურდა, მაგრამ ადამიანი, პირველ ყოვლისა, ეგოისტი ყოფილა, მერე კი სხვა დანარჩენი და არ გამოგვივიდა ეს საქმე, დროულად ვერ მივხვდით, რომ ფული აღმოჩნდება გაცილებით უფრო ძლიერი და მდგრადი ნებო, ვიდრე ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე მიმზიდველი იდეა. აბა, იმ იდეისა და ჩვენი ილიკო თავართქილაძის ხსოვნა იყოს. რას იზამ, ამ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია...

...მერე კი სარკესთან მივიდა, ანარეკლს თვალი ჩაუკრა და ბოლომდე გადაკრა...



დასასრული

10

ბიჭი უკვე ხშირ-ხშირად ამოქნარებდა. აშკარა იყო — ეძინებოდა. ვენეციელმა ვაჭარმა იატაკზე გაშლილ საძილე თეთრეულზე მიუთითა და უთხრა, რომ უკვე გვიანი იყო და შეეძლო, დაეძინა.

ბიჭი დანვა და მალევე დაიძინა. ვენეციელმა ვაჭარმა ცადა დაძინება, მაგრამ ვერ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ერთკვირიანმა მგზავრობამ და მერე ქალაქში სიარულმა ძლიერ დათენთა. როგორც ჩანდა, მგზავრობის შემდგომ მცირე ჩათვლემამ ღამის ძილი წაართვა.

ვენეციელი ვაჭარი ინვა სანოლზე და ჭერს უყურებდა. ხელები გულზე ჰქონდა დაკრფილი და ფიქრობდა.

ნეტავ როგორი იქნებოდა მისი ცხოვრება, მშობლებს რომ არ გაესხვისებინათ — გაეჩუქებინათ ან იქნებ სულაც გაყიდეს, თუმცა ამ უკანასკნელ შესაძლებლობას პატრონი ყოველთვის ჯიუტად უარყოფდა და ვენეციელ ვაჭარს ურყევად უმტკიცებდა, რომ მშობლებმა ის უკეთესი ცხოვრებისთვის მისდა სასიკეთოდ გაასხვისეს. ვენეციელ ვაჭარს ძირითადად სჯეროდა პატრონის ნათქვამის, მაგრამ ხანდახან დაეჭვებოდა ხოლმე.

ვენეციელმა ვაჭარმა გულზე დაკრფილი ხელები თავქვემ გადაადგილა და ფიქრი განაგრძო. კარგად იცოდა, რომ წარსულში უკვე ველარაფერს შეცვლიდა, მაგრამ მისი თუნდაც წარმოსახვითი გადაკეთება დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, რადგან სწორედ ამ ხერხით ხდებოდა მისი სრული განმგებელი.

იატაკზე მოთავსებულ საჩუქარს დახედა. მას მშვიდად და ღრმად ეძინა. ვენეციელი ვაჭარი საკუთარ ცხოვრებას განერიდა და თვალწინ ტაძარი და ტაძრის წინამძღოლი დაუდგა, თან ზუსტად ისეთი, როგორც უკანასკნელი შეხვედრისას იყო — მოხუცი, მზერაჩაბრუნებული, მაგრამ მხნე.

ამ ბიჭს კარგი ცხოვრება ექნება, შეისწავლის ხვნას-თესვას, მკას, სხვლას, ნერა-კითხვას. იცხოვრებს ტაძარში. თუ ბუნებით სულელი არ გამოდგა, იქნებ წინამძღოლიც გახდეს.

ვენეციელმა ვაჭარმა ისევ ჭერზე გადაიტანა მზერა და საკუთარ ცხოვრებას დაუბრუნდა. ხანდახან სულ ცოტახნით დაეჭვებოდა ხოლმე საკუთარი საქმიანობის მიზანშეწონილობაში. არა, ვაჭრობის მხრივ არა, სხვა ხელობა არც ჰქონდა. ახალი საქმის შესწავლას დრო დასჭირდებოდა, ის კი უკვე არსებობის ორმოცდამესამე წელში გადადიოდა.

მისი ეჭვები ახალი მომავლისთვის თუნდაც შიშნარევ, ფარულ და სახიფათო ბრძოლას ეხებოდა. მიჩერებული იყო ჭერს და ბრძოლის აზრზე ფიქრობდა. ზუსტად იმავეს, რასაც ყოველთვის დაეჭვების უამს: რა აზრი ჰქონდა ბრძოლას, რომლის შედეგსაც ვერ მოესწინებოდა. ის შეიძლება, დაეპატიმრებინათ და ეტანჯათ ამის გამო და ასეც რომ არ მოხდეს, მისი არსებობის განმავლობაში არაფერი შეიცვლება.

ღრმა, ამაოებით სავსე ამოოხვრით ამოიხრა და თვალები დახუჭა. ხელები საწყის მდგომარეობაში დააბრუნა და ასე თვალმდებარეული და გულზეხელებდაკრფილი გაიტრუნა.

იატაკზე მოთავსებული საჩუქრის სუნთქვა ესმოდა საკუთართან ერთად. საკუთარი უფრო მკაფიოდ...

დახიუბი

### სოფიო გოგალაძე

\*\*\*

მთელი ცხოვრება მიყვარდა ჩემს მამიდაშვილებთან ჩასვლა, ყველა ასაკის მყვანან-მეთქი, სულ ვხუმრობ... ამას წინათ მამიდაჩემს ვუთხარი, რა ბედნიერებაა, მამი, ამდენი კარგი შვილი-მეთქი... შენ არ იცი, რა ძნელია, რომ დავწვი და ექვსივესთან დარდით, სიხარულით, ფიქრით, სურვილით, დავდივარო, დავბოდილობო... ხან ერთთან ვარ, ხან მეორესთან, ხან მესამესთან და ამასობაში თენდება... ვერაფერი ვერ ვუთხარი... დახმარება მომინდა, ან რანაირად დავხმარებოდი?! მაგრამ მაინც დავხუჭე თვალები მის მაგიერ და მის მაგიერაც დავიძინე... და ვერ ვიბოდილა მისნაირად მათთან... იმნაირი ფიქრით, იმნაირი დარდით, იმნაირი სურვილებით... გავახილე თვალები და ვიდარდე მამიდაჩემზე, რანაირი ღამეები ჰქონია... ფიქრიანი... რა ძნელია და რა კარგია ეს ყველაფერი...

\*\*\*

ერთხელ აუცილებლად დავწერ, როგორ გამზარდეს, მამაჩემის ილიაში ამოდებულმა გაზეთებმა და პრესის ლოდინმა იმ 90-იანებში... „რეზონანსი“, „7 დღე“, „ახალი თაობა“, „დრონი“, „11\*11“, „კვირის პალიტრა“, „სარბიელი“, „შანსი“... გაზეთების ბოლოში კოსმოსურდების შევსებამ წლიდან-წლამდე... იმ ორშაბათებმა, ახლის მოლოდინში რომ ვიყავი ყველა გაზეთის და ხშირად სიხარულით „კიოსკთან“ ლოდინმა თინეიჯერულ „კაკაღუსი“. ერთხელ აუცილებლად დავწერ, მოკლედ თუ ეს შეეძელი, როგორ ივსებოდა კალათა გაზეთებით და როგორ ვუცდიდი მამაჩემს სულმოუთქმელად გაზეთებით ხელში... დღეს დილას ორშაბათის გამო ეს ყველაფერი მომენატრა... რავი, ბოლომდე ვერასოდეს გავიზარდე, ყოველდღე წელი ვკვდები, გრძნობებით და შეგრძნებებით...



**აბდ ორ-რაჰმან ჯამი**  
ყაზალაუბი

\*\*\*  
კურთხევა მუტრიბს, ვინც ყოველივე დაგვაგინა,  
მწველი იარაც,  
ქარმა ჩაჰბერა ნას და ფიქრი გაგვინიავა.

სახლს აშენებდა ცოდნის გზაზე გონი,  
მაგრამ ტრფობის გრიგალმა  
საძირკვლიანად ამოაგდო, ისე იავა.

სულს ეტკბო შენი სიყვარულის სამსალა და  
გულს განაშორა  
ლხენის იმედი და კარიბჭე მოუღიავა.

სანუთროს ჩმახებს ნუ ენდობი, ამ კუზიანმა გამოსტაცა  
ფარჰადს! შირინი?, სიხარული მან ჰყო იავარ.

ზარხმით ვალალი მსურდა,  
მაგრამ შენთან შეხვედრით გაოგნებამ  
ამის ილაჯი გამიწყვიტა მეტრფეს მთლიანად.

როგორ განვუდგე მე უღვინოდ დაქცეული  
სოფლის სანახებს,  
სად ორპირობის შხამის გარდა არა ჰგია რა.

ღვინის მოყვარედ მოგვთა მოძღვრის შეგირდობამ  
აქცია ჯამი,  
ხელოვნად იქცა, ოსტატის ღვანლს ვინც ეზიარა.

\*\*\*  
ასკეტის სენაკს ნადიმობა სირაჯხანის კარად სჯობია,  
ლოცვას მახმურთა ჰანგი წარამარა სჯობია.

ღურდობაჰა რინდებისგან<sup>3</sup> მორთმეული  
ნუღლის<sup>4</sup> ნატეხი  
ათასგზის ლოცვას და ვედრებას მარად სჯობია.

დაე, ღვინის სმით მუჰთასიბმა<sup>5</sup>  
ასკეტობის აღთქმა გატეხოს,  
ჯამის გატეხვას აღთქმა გატყდეს, არა სჯობია?!

სანამ აპირებ სიყვარულის გზაშიაღი სხვებს გაუმხილო,  
ეგ საუბარი უჩუმრად და წყნარად სჯობია.

რა კარგადა თქვა ერთმა შლეგმა:  
მასზე სევდით იქვე შეშლილად,  
სიშლეგეს ტრფობა დაუდგრომელ ქარად სჯობია.

ან შენკენ მოვალ უცხოთაგან შორიშორად,  
რადგან შენს თვალში  
უცხო ნაცნობს და უგზობობა შარას სჯობია.

ასგზის დაქცეულ გულში შენი კაემანი დამალა ჯამიმ,  
ნანგრევში განძის დაუნჯება მარად სჯობია.

\*\*\*  
ღვინისფერ ბაგისგან მიზნედილი გული  
თმენის აღვირს კარგავს,  
ჭკუათმყოფელებო, განზე გადით,  
ის შლეგი დამთვრალა მაგრად.

ახლა აღარა ხამს მოთმინება,  
როდესაც გზაშია სატრფო,  
როდესაც მოჰგვარა ისევე შოთი  
მეტრფეთა მოდგმას და ნაგრამს.

ბულბულის კენესა აღარ ისმის  
დახშული ბალის ნიალიდან,  
ნუთუ კაკანათში გაბმულია  
და იმ ძველ მგალობელს არ ჰგავს?!

სარკეში თავის ღანვთა ჭვრეტით  
ის კერპი თავს ექცა აშკადა,  
მე გაეხდი იმ კერპის მესავი და  
ტრფობისთვის შევიქმენ ვარგად.

გულო, მასზე ფიქრით არეულო,  
შენს თავს განუდექი ბარემ,  
ბოლოს ჩვენი ყოფა თავს ისედაც სადღაც არყოფნაში  
ჩარგავს.

სამეფო გვირგვინით თავის დამშვენებას  
ასე ვამჯობინებთ,  
რომ ჩვენი თავი გაიქელოს შენს ფეხთა ქვეშ  
ძალიან კარგად.

ღვთისმოსაობის ბროლის მსხვრევა  
სიყვარულის საუფლო გზაზე  
ჯამის ქველ საქმედ შეერაცხა,  
მადლობს გამჩენს, ბედსა და ცარგვალს.

\*\*\*  
ჩვენ შენზე ფიქრით გაყურსულნი ვაგვივართ შორით,  
დაგვიწყებია ჩვენი თავი მიჯნურებს, მგონი.

ურვას ვეხვევით შენი სევდის ძველ სარეცელზე,  
არავინაა მოყურადე, აღარც გამგონი.

თასში ვიხილეთ შენი ბაგის ანარეკლი და  
ჩვენ უღვინოდაც სათითაოდ წაგვერთვა გონი.

თუ ჩვენი სევდის ჩანგის სიმებს შეარხევე ნელა,  
ჩქამს არ გავიღებთ გულმაშვრალნი და უაზნონი.

შენ ყურს გიმშვენებს ბრწყინვალეების უცხო საყურე,  
ჩვენ კი დაღები გვაზის შენი ყურმოჭრილ მონის.

ნუხელ ვიშვებდით შენ გვერდით და დღეს ეგ ნიშატი  
გვაცოცხლებს, როგორც სანიაზო, გულს მოსაფონი.

მე გულს ვაძლიე შენი დარდის ღურდო და მითხრა:  
დალიე, ჯამი, სანამ თავად შეეგვამდე თრთოლვით.

\*\*\*  
მოდი! ეგ სახე სხივასხმული მნათობია,  
სხვებს შურით მსჭვალავს,  
შენით დღედ მექცა ღამე, დღე კი — დიდების ცალად.

თუ გულს დამიფლეთ კეკლუცობის მჭრელი ისრით,  
როდი ვინაღვლი,  
წამნამთ ისარი მწველია და სიტკბოსაც მალავს.

თვალცისკროვნობით დღე სადაგი  
ნება-ნება ამიბრწყინვალე,  
ნანატრი ჟამი დღეს დამიღვა, დღეს შემწვევს ძალა.

ღამით სანთელიც არ მჭირდება,  
რადგანაც ოხვრა ამოხეთქავს  
გულიდან ბნელის მანათობელ სახმილის ალად.

თუ შენი ტრფობით გასენილა ფირიცა  
და სჯულის მოძღვარიც,  
მამ, ნინველ-ჭაბუჯთ რაღას ვერჩით,  
რადა ვართ მწყრალად?!

სინმინდის გზაზე მარები ხარ,  
კერპთა კეკლუცს განუდექი, ჯამი,  
რადგან რინდული ტრფობის წესი სინმინდეს ბლაღავს.

\*\*\*  
რამდენს კენესი განთიადის ფრთაფათქუნა ჩიტო,  
გული ვისი სევდით უნდა ილტო?  
თუკი ვარდის აშკი ხარ, მაშინ ბულბულივით  
ჩამოუჯდე უნდა თითო-თითოდ.  
თუ გვრიტივით ტანწერნეტა სარომ დაგიმონა,  
აქ რას უცდი, ჩემო მარგალიტო?!

ფრთაზე შებმულ სევდის უსტარს ნუ გაანდობ ყველას,  
მითუმეტეს უგვანსა და ლიტონს.

თუკი იგი გამოგკითხავს ჯამის ამბავს, უთხარ:  
გულს სიშორის ჭმუნვით გადაილტობს.

გზას იმედით გაჰყურებს-თქო, რადგან იცის, მოხვალ,  
რომ სიამის ყანდეული კვინტოთ.

\*\*\*  
მაგ სილამაზის ეღვარე მზე მთვარეს არცხვენს,  
ბინდავს გონებას,  
ფადიშაპები არა ღირან შენი კარის მდაბალ მონებად.

ღანვთაგან რიდე განირიდე,  
მე ხომ შენი სავეს მთვარე ვარ,  
ბედის ვარსკვლავი მილიმის  
და ტანჯულ გულზე მომეფონება.

თავად ხელმწიფურ დიდებასაც სარფა არ აქვს  
ტრფობის ბაზარში,  
იქ მონობა და უპოვრობა, არად ქცევა არის ქონება.

თვალს დამეცო უნაპირო ცრემლის ღვრით  
და ცრემლთა ჩქერალით,  
როს სახლს ღვარცოფი შემოუტევს,  
ავბედობა ეპატრონება.

უსულოდ ეგდო განშორებით  
ტანჯული და გვემული ჯამი,  
კვლავ შენთან შერთვამ აღადგინა  
და თანა გდევს განუშორებლად.

\*\*\*  
მნდემო, მოგვადგა დღესასწაული,  
გულში სიხარულს ვერაფრით ვიტევთ,  
დღეს ახალ მთვარეს მოუტანია  
ღვინის სარდაფის აღთქმული კლიტე.

შაბანის ბოლოს ლხენის ფიალა გაგვიქრა,  
თუმცა ბაგეკრიალა  
კვლავ დაგვიბრუნდა შავალის თვეში  
და სანუკვარი ნაყოფი ვწყვიტეთ.

ამ დღემ მიჯნურებს — უცნობთ თუ ნაცნობთ —  
ახალი ჟამის დადგომა ამცნო,  
ლაღად ნაფერი აჩქეფდა ღვინო,  
ლხინი დაუდგათ ვარდებს და ტიტებს.

მე სირაჯხანის ფირმა ხალისით გადამაფარა  
ჩრდილი თავისი,  
თითქოს შეიხი სწვევია მურიდს  
და იდუმალი ნათელი ვჭვრიტეთ.

დაუსაბამო სატრფოს<sup>6</sup> ენება,  
რომ გამოეთქვა ტრფობის მშვენება  
ბულბულისა და ვარდის საუბრით,  
ზღვა საიდუმლოს რომელიც იტევს.

თვალს ნუ არიდებ ღამაზმანთ, ჯამი,  
ეგ სილამაზე თვით დასაბამით  
კაცთათვის შექმნა ფერთა ოსტატმა  
და ისიც გულის ახარებს კვირტებს.

\*\*\*  
— გულქვავ, მყიფეა შენი აღთქმა —  
მოარული აღმა და დაღმა.

— სანამ გავურევ, ნეტავ ასე, თაფლსა და ბაღდაშს?!  
— მიჯნურობაში რინდი ვარ  
და უშიშარი მეტრფე-მებრუვე.

— მე კი მიჯნურთა ხოცვა-ჟლეტით არ ვიცი დაღლა.  
— მე მჭმუნვარების ყანობირში  
ცრემლებს ვაპნევ მარცვალ და მარცვალ.

— მისგან ჯეჯილი გაიზრდება მომწარო ნაღვლად.  
— მაგ იავუნდის ბაგეთაგან მსურს,  
მოვიკლა გულის წადილი.

— წადილისათვის სატრფოს მძებნელს მივიჩნევ არად.  
— ამ პირისახის ბაღ-ნალკოტში  
ეს ვარდები რამ აყირმიზა?

— კოკორმა ჩემი შურით სისხლის ცრემლები ღვარა.  
— მე — შენკენ მავალს — მსურს,  
ხელთ მეპყრას სიყვარულის წმინდა სადავე.

— ყველა ნაღდ მეტრფეს ეგ ისედაც უპყრია ღალად.  
— გული გაუტყდა ჯამის —  
შენი მრისხანებით ქვათაგან გვემულს.

— ბროლი, რომელსაც ქვა დაეცა, დარჩება საღად?!

<sup>1</sup> ფარჰადი — ნიზამი განჯელის „ხოსროვისა და შირინის“ პერსონაჟი, რომელიც საღვთო სიყვარულით გაუმჯობურდა შირინს.  
<sup>2</sup> შირინი — ხოსროვ ფარავის მძულე  
<sup>3</sup> რინდები — სუფიურ-დერვიში მისტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევრები. როგორც ჩანს, სპარსული სიტყვა „რინდ“-იდან ქართულში მივიღეთ „რაინდი“ და „გარინდება“.  
<sup>4</sup> ნუღლი / ნუყლი — ფქვილისა და შაქრისგან შეზავებული ერთგვარი ტკბილეული.  
<sup>5</sup> მუჰთასიბი — საჯარო მოხელე შუა საუკუნეების მუსლიმურ აღმოსავლეთში, რომელსაც ბაზრებსა და საზოგადოებრივი თავყურის სხვა ადგილებში წესრიგის დამყარება და ღვინის სმის ალაგმვა ევალებოდა.  
<sup>6</sup> დაუსაბამო სატრფო — ღვთის მეტაფორა.

ტასოს ლივადიტისი მე-20 საუკუნის გამოჩენილი ბერძენი პოეტი, რომელიც 1922 წელს ათენში, ალდგომის ლამეს, დაიბადა. ერთი და და სამი ძმა ჰყავდა. 1946 წელს დაქორწინდა და ქალიშვილი შეეძინა. მიუხედავად იმისა, რომ ათენის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, ლიტერატურას და, კონკრეტულად, პოეზიას მნიშვნელოვნად დიდ დროს უთმობდა. 1943 წელს, საბერძნეთის ოკუპაციისას, ის ახალგაზრდა ბერძენ მწერალთა ასოციაციის დამფუძნებელი გახდა. პოლიტიკური იდეოლოგიით შემარცხენეს ბერძენებმა „სიყვარულისა და რევოლუციის პოეტი“ უწოდეს. ტასოს ლივადიტისი მონაწილეობდა პოეტურ პერფორმანსებში, სადაც აქტიურ პოლიტიკურ კამპანიას ეწეოდა.

1948 წელს დააპატიმრეს და მოდროსში გადაასახლეს. ერთი წლის თავზე გადაიყვანეს მაკრონისოსში, სადაც დაიწყო წერა წიგნისა „დარტყმები მსოფლიოს გზაჯვარედინებზე“. მაკრონისოსი ათენის ჰატიკოსტას ციხეში შეცვალა, რომელიც 1951 წელს დატოვა.

ტასოს ლივადიტისი ბერძნულ ლიტერატურულ საზოგადოებაში 1946 წელს გამოჩნდა ტექსტით „ხადიდიმი-ტრის სიმღერა“. იბეჭდებოდა სხვადასხვა ცნობილ ყურნალ-გაზეთში. 1952 წელს გამოაქვეყნა პირველი პოეტური კრებული სახელწოდებით „ბრძოლა ლამის პირას“. ამას გარდა, ტასოს ლივადიტისი მუშაობდა პოეზიის კრიტიკოსად გაზეთ „ავგიში“. აქვეყნებდა პოლიტიკურ და კრიტიკულ ესეებს. ბერძნულ ლიტერატურაში ის კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლად მიიჩნევა.

ხუნტის დროს პოეტის საარსებო წყარო მთარგმნელობითი სამუშაო იყო. ხშირად სხვადასხვა ტექსტს ძველბერძნულიდან ახალბერძნულზე თარგმნიდა. მისი ლექსებისთვის მუსიკა დაწერა ცნობილმა ბერძენმა კომპოზიტორმა მიკის თეოდორაკისიმ.

ტასოს ლივადიტისის პოეზია თარგმნილია მსოფლიოს არაერთ ენაზე. ტასოს ლივადიტისი 1988 წლის 30 ოქტომბერს მუცლის აორტის ანევრიზმით ათენში გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ გამოიცა მისი ლექსების კრებული სახელწოდებით „შემოდგომის ხელნაწერები“. ტასოს ლივადიტისის შემოქმედება მრავალფეროვანია როგორც თემატურად, ისე ფორმით.

მთარგმნელი



ტასოს ლივადიტისი

\*\*\*  
უფალო, შენ გარეშე რას შევძლებდი? მე ხომ უკაცური ოთახი ვარ, შენ კი განსაკუთრებული სტუმარი, რომელსაც ნებავე შინ შემოსვლა. უფალო, ჩემ გარეშე რას შევძლებდი? შენ ხომ მარადიული არავა ხარ და მე კი წარმავალი ხელი შენი, რომელიც აჟღერებს შენს მელოდიას...

\*\*\*  
უფალო, დაფარული და იდუმალია შენი ყოფა... შენა ხარ მიღმა აჩრდილთა და ამოუხსნელ საიდუმლოთა... როგორ გიპოვო? თუმცა არიან ნამები, როცა შემიძლია, ამოგიცნო ჩემივე გულის სისავსით, რომლითაც მე უარგყოფ კიდევ...

\*\*\*  
უფალო, მხოლოდ ჩვენი სევდით შეგიგრძნობთ. ყოველი ქადაგება შეურაცხველად შენ... და ჩვენი ყოველი სიტყვა შენი ჭრილობაა, რომლიდანაც, სისხლთან ერთად, შენივე უკიდევანობა მოწვევთავს...

\*\*\*  
უფალო, ნება დამრთე, მოგიახლოვდე. შეიძლება, მე ძალიან ღარიბი ვარ, ძალიან პატარა, მაგრამ ჩემივე სინანულით შემიძლია, ნუგეში გცე იმ ღამეებში, როცა მესმის, თუ როგორ ტირი...

რადგან ამოდენა სრულყოფილება უკვე ნამებად ქცეულა შენთვის...

\*\*\*  
უფალო, შენ მარადიული მოგზაური ხარ, რომელმაც, სულ ერთი წამით, ლობის ძირას გამოიღვიძა, რათა კვლავ ძილს მიეცეს...

მე კი ხანმოკლე სიზმარი ვარ, რომელიც შენში ინახავს ყოველ დავინწყებულ მეგობარს...

უფალო, ნუ გავიღვიძებთ, ადრეა ჯერ...

\*\*\*  
უფალო, ყოველგან გეძიებდი შენ: ცისა და მიწის სიღიადებში, დიდ ქალაქებში, ეპოქათა გზაჯვარედინებზე, შენ კი, თავმდაბალი და უხმაურო, ღამით ჩემს სანუკვარ ოცნებაში შემოდიდი...

\*\*\*  
უფალო, ჩვენ ორივენი წყვილად ვცხოვრობთ, ერთმანეთს ვერ ვხედავთ, ამიტომ, ვთხოვ, ხელი ასწიო, რათა გიპოვო. ნება მომეცი, გელაპარაკო, დამიგდე ყური. მომეცი სიტყვები და კიდევ რაღაც უფრო დიადი და გამოუთქმელი, რომლის წინაშე თავადაც დადუმდები...

ღმერთის სჭირდება ჩვენი დახმარება

ფერმკრთალი და უღონო იესო დადგა საფლავთან ახლოს. „ლაზარე, გამოდი გარეთ!“ — დაიყვირა. ყველანი ელოდნენ. და საბრალო გვამი საფლავში მიხვდა, რომ კოსმიურ ბედს ეთამაშებოდა... რა უნდა ექნა? მინა უკვე დაკარგული ჰქონდა...

როგორ დაეტოვებინა ალდგომის გარეშე ეს ამოდენა ზეცა?


და მეც მჭირდება ღმერთის შენძნება

— უფალო, შემენი, — ვეუბნები, — ვიკარგები... — ეგაა ჩემი წყალობაც, დაიკარგო, რათა საუკუნეების მანძილზე გეძებონ!

\*\*\*  
უფალო, ყოველივე შენგან დაიწყო და ყოველივე კვლავ შენთან მოვა, რათა დასრულდეს.

და გაზაფხული სხვა არაფერია, გარდა შენი ნოსტალგიისა, იმ ძალიან მცირე ხნის გამო, რომელიც მინაზე გიცხოვრია...

თარგმანი ალექსანდრე ჯინჭარაძემ



ტომას სტერნზ ელიოტი  
წინათქმა

ეზრა პაუნდის კრებულისა „ლიტერატურული ესეები“

ამ წიგნის რედაქტორი მარტოოდენ იმაზეა პასუხისმგებელი, შეარჩიოს აქ თავმოყრილი ესეები და რეცენზიები; და ამიტომაც მონოდებულია განმარტოს შერჩევის მისეული პრინციპი. მიზნად არ დამისახავს, ლიტერატურული კრიტიკის კრებულში შემომეტანა ყველაფერი, რაც შენახვის ღირსად მიმაჩნდა: საკმაო მასალა დარჩა მეორე ტომისათვის. ზომის შეზღუდვებამ მრავალი რამის გამოტოვება გვაიძულა; ამიტომ შევეცადე, მხოლოდ სანიმუშონი ამომერჩია ეზრა პაუნდის ლიტერატურული კრიტიკიდან — ოცდაათიოდე წელიწადში შექმნილადან. რაკილა რეტროსპექტიულადაა შერჩეული, ეს კრებული განსხვავდება კრიტიკულ წერილთა იმ ოთხი წიგნისაგან, საიდანაც მასალის ძირითადი ნაწილი ავიღე, და რისთვისაც გამომცემლებს მადლობას ვუხდებ: „ცეკვები და ტორტმანები“ (ა. ა. კნოპფი, ნიუ იორკი, 1918), „შეგულიანება“ (ბონი და ლივერაითი, ნიუ იორკი, 1920), „განახალგე“ (ფეიბერ და ფეიბერი, ლონდონი, და იელის უნივერსიტეტის გამომცემლობა).

ეს კრებულები ისეთი ფორმითაა შედგენილი, სავსებით დამაკმაყოფილებლად არ მეჩვენება: მათ თავის მიზანს მიაღწიეს იმით, რომ ჩემამდე მოიტანეს შედეგი, რასაც სხვადასხვა წერილი ისახავდა პერიოდიკაში თავდაპირველი გამოქვეყნებისას. თვით ამ წიგნების მოძიება უფრო გაძნელდა; ამას გარდა, ამერიკულ და ინგლისურ კრებულთა შინაარსები ერთმანეთს გადაფარავდნენ. უფრო მცირე წერილებიც შევიტანე პერიოდიკიდან, მათ შორის ამერიკულ ყურნალთა ფოტოფირებიდანაც, რაც მრ. ჯეიმზ ლაფლინმა მომანოდა. ისეთი ნაწარებიც უნდა იყოს, რაც ჩვენს თვალს გამორჩა: პაუნდი დაუღალავად თანამშრომლობდა მცირე ყურნალებთან. ორი წიგნი რჩება, საიდანაც არაფერი ამიღია: „მეგზური კულტურაში“ და ადრეული, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი „რომანსის სულ“ (ლონდონი, 1910). ეს წიგნები ამოვარდა ბეჭდვიდან, მაგრამ ახლა ხელახლა გამოსცა „ნიუ დირექტსისმა“ და ორივეს მთლიანად ნაკითხვა შესაძლებელია.

ეს წიგნი პაუნდის ესეების წინა გამოცემებისაგან განსხვავებულია და შედგენილი; და მჯერა, გამართლებულია, რომ სხვა ხელს ანდეს და არა ავტორისას. ავტორი — სხვა ავტორებისა არ იყოს — რედაქტორისაგან განსხვავებულად აარჩევდა; მან ფაქტობრივად სინანული გამოთქვა ზოგი რამის გამოტოვების გამო და უკმაყოფილო დარჩა ისეთი რამეების შეტანით, რაც რედაქტორს უფრო მარადიული ღირებულებისად მოეჩვენა, ვიდრე მას. მაგრამ მრ. პაუნდი არასოდეს აფასებდა თავის ლიტერატურულ კრიტიკას სხვაგვარად, თუ არა მხოლოდ უშუალო გავლენის მოსახდენად; რედაქტორს კი, მეორე მხრივ, სურდა, ისტორიული პერსპექტივით მისდგომოდა მასალას, რათა მკითხველს ახალ თაობას, რომლის ხელშიც ადრეული კოლექციები და გაფანტული ესეები მოხვდებოდა, შესძლებოდა, შეეფასებინა პაუნდის კრიტიკულ ნაწართა ძირითადი მნიშვნელობა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის პოეზიის განვითარებისათვის.

